ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 4 მარტი, 2020 №53 (8317) ფასი: 60 თეთრი

„პოლიცია გია ვოლსკის დაკითხვას აპირებს“

გვ.5

ზვიად კუპრავას დაზარალებულის სტატუსი მიანიჭეს

3 მარტიდან

ვასილ ბარნოვი

ტრფობა ნამებული

საქართველოს ისტორია ქართულ ლიტერატურაში

ტომი I



ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

„კინზინგერი ივანიშვილს საინქიზიციოთ დაემუქრა“

გვ.4

თორნიკე შარაშენიძე: „საბოლოოდ გავა 110/40-ზე“

დავით ჭიჭინაძე: „ოცნებასა“ და ხალხს შორის ჩატეხილი ხიდი ვერ აღდგება“

გვ.3

„ბანკები რომ სესხებს 17-18%-ად იძლევიან, ამაზე არავინ საუბრობს“

ლევან ალაფიშვილი: „აშშ გვაფრთხილებს და, თუ არ გავითვალისწინებთ, ყველა დავზარალდებით“

გვ.3

„მარგველაშვილს ხელი მიუწვდება სახელმწიფო საიდუმლოებაზე და მისთვის დაცვის მოხსნით სახელმწიფო რისკის წინაშე დგება“

გვ.4

მაია ნიკოლეიშვილი: „მე „ცინ“ ჰეპატიტის პროგრამით განვიკურნე“

„კორონავირუსთან ბრძოლის საკითხში იმედიანად ვარ“

ვახტანგ გოგელაურმა 9-შვილიან თანამშრომელს დედის დღე მიულოცა

გვ.5

პენსია ჩარიცხვამდე უკვე ბანკომატებში

„პენსია ჩარიცხვამდე“ სერვისი უკვე ლიბერთის ბანკომატებშია

მომსახურების გამარტივების, ბანკში ვიზიტის დროის შემცირების და, ასევე, რიგების მაქსიმალურად განტვირთვის მიზნით, სერვისი „პენსია ჩარიცხვამდე“ უკვე ხელმისაწვდომია ლიბერთის ბანკომატებში. დღეიდან, ლიბერთი ბანკის საპენსიო ასაკის მომხმარებლებს ამ სერვისით სარგებლობა შეეძლებათ მთელი საქართველოს მასშტაბით, ნებისმიერ დროს ლიბერთის 550-ზე მეტი ბანკომატიდან, სერვისცენტრში ვიზიტის გარეშე.

– მომხმარებელზე ზრუნვა ჩვენი მთავარი პრიორიტეტია. განახლებული სერვისი დაგეგმილზე რამდენიმე კვირით ადრე, დაჩქარებული წესით გახდა ბანკის მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი, რადგან ვფიქრობთ, დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ ჩვენს მომხმარებლებს თავშეყრის ადგილებისაგან თავის არიდებასა და ჯანმრთელობის მოფრთხილებაში. ამ მიმართულებით, უახლოეს დღეებში, ბანკში ასევე გატარდება დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეკომენდებული ღონისძიებები, – განაცხადა ლიბერთის გენერალურმა დირექტორმა ვასილ ხოდელმა.

ლიბერთის ყველა მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია დისტანციური საბანკო სერვისები: ინტერნეტ ბანკი, განახლებული მობაილ ბანკი (Android | iOS), დისტანციური მომსახურების ცენტრი: 032 2 555 550, ბანკომატები და სწრაფი მომსახურების აპარატები მთელი საქართველოს მასშტაბით, ასევე, ბანკის ნებისმიერ სერვის ცენტრში ვიზიტის დაჯავშნის ონლაინ სერვისი: https://libertybank.ge/ka/booking

ISSN 1987-9385

2 ამირან გამყრელიძე: „კორონავირუსის გავრცელების ერთ-ერთი წყარო ფულია“

2 ასლან ბჟანია კომიდან გამოვიდა
რა ხდება სოხუმში

5 ბორჯომის ყოფილი მერი ლევან ლიპარტია ბრალს არ აღიარებს

6 ერდოღანი: „თურქეთი აღარ მოუვლის მილიონობით სირიელ ლტოლვილს“

არჩილ თალაკვაძე: „ნაციონალურ მოძრაობასა და მის დანაყოფებს შეთანხმება არ უნდათ“

– ახლა ოპოზიციის ნაწილი ტესტის წინაშე დგას, სურთ თუ არა მათ რეალურად დემოკრატიული არჩევნები, თუ სურთ, საარჩევნო ყუთის გვერდის ავლით ივაჭრონ საზოგადოების ინტერესებით, მათი ხმებითა და მანდატებით.

ამის შესახებ შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ ჟურნალისტებთან განაცხადა.

თალაკვაძის თქმით, ის იმედს იტოვებს, რომ შეთანხმება იქნება მიღწეული.

მისივე შეფასებით, ოპოზიციის ნაწილს კონსტრუქციული პოზიცია აქვს.

კითხვაზე თუ ვისთან აქვს შეთანხმების მიღწევის იმედი, თალაკვაძე კონკრეტულად არ პასუხობს და აცხადებს, რომ „ყველა მინუს ნაციონალური მოძრაობა და მისი დანაყოფები, შეიძლება ითქვას, რომ რეალურად აფასებენ პირობებს, რომლებიც მოლაპარაკების მაგიდაზე დევს.“

– მინდა მივმართო საზოგადოებას, დაახლოებით ერთ კვირაში, როცა შეთანხმებაზე საბოლოო გადაწყვეტილებები გახდება ცნობილი, ჩვენ დეტალურად მოგიყვებით, თუ რა პირობები და შეთავაზებები იყო ხელისუფლების მხრიდან მოლაპარაკებების მაგიდაზე დადებული და რა იყო ის სავარაუდო მიზეზები, რაზეც ოპოზიციის ეს ნაწილი ახლა იკავებს იმ პოზიციას, რასაც იკავებს.

მოველი, რომ ამ ერთი კვირის განმავლობაში ოპოზიციის ეს ნაწილი, ნაციონალური მოძრაობა და მისი განაყოფები მაქსიმალურად შეეცდებიან, რომ როგორმე თავი აარიდონ შეთანხმებას და ეს იქნება მკაფიო სიგნალი.

ახლა ოპოზიციის ეს ნაწილი დგას ტესტის წინაშე – სურთ თუ არა მათ რეალურად დემოკრატიული არჩევნები, თუ სურთ საარჩევნო ყუთის გვერდის ავლით ივაჭრონ საზოგადოების ინტერესებით, მათი ხმებით და მანდატებით.

ეს არის მთელი რეალობა, რაც ხდება. თუმცა, მე იმედს ვიტოვებ, ვხედავ რა, ოპოზიციის ერთი, საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის კონსტრუქციულ პოზიციებს, მათ შორის, ჩვენი მხრიდან გადადგმული ნაბიჯებიც სახეზეა, რომ შეთანხმება მოხდება.

გადავალთ ნორმალურ საარჩევნო რეჟიმში და მხოლოდ არჩევნებით გავარკვევთ, ვის აქვს ამ ქვეყანაში რეალური მხარდაჭერა, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

* * *

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებას გიგა ბოკერია გამოეხმაურა.

– ეს არის სწორედ იგივე, რაც თალაკვაძეს არ ესმის, ივანიშვილს არ ესმის და აქედან გამომდინარე, ყველა მის პოლიტიკურ მასხარას არ ესმის ხოლმე, რომ ოპოზიცია ვინ არის და ვინ არ არის, ისევე, როგორც მთავრობა ვინ არის და ვინ არ არის, საზოგადოებისა და ამომრჩევლის გადასაწყვეტია, არა მთავრობაში მყოფს მოსწონს ის თუ არა.

მეორე, რა თქმა უნდა, ოპოზიცია ჭრელია ბევრი თვალსაზრისით და ლეიბორისტულ პარტიასთან ვინც ვიკრიბებით, ბევრ რამეში განვსხვავდებით ერთმანეთისგან და არც მე, არც ჩემს თანაგუნდელებს არანაირი ამბიცია არ გვაქვს, რომ „ევროპული საქართველო“ განსაზღვრავს რამეს.

ჩვენ ჩვენი სახელით ვსაუბრობთ, ოღონდ შეგიძლიათ, ჰკითხოთ იმ სხვა ჯგუფებსაც. იმათაც კი, ვისაც აქვთ მეტი ოპტიმიზმი იმაზე, რომ ეს შემოთავაზებული ცვლილებები ღირს იმათ, რომ იქნეს მიღებული, საერთო შეფასება აქვთ იგივე, რაც ყველას, რომ ეს არის პოლიტიკური ჭირი, რაც უნდა მოვიშოროთ, რომ პოლიტიკურ დევნასთან დაკავშირებით თუ არ გადადგა ნაბიჯები, ნორმალიზაცია ვერ მოხდება.

საერთო ჯამში, პოზიცია არის ერთიანი. განსხვავება შეიძლება იყოს არსებითი ამა თუ იმ ნაბიჯზე, მაგრამ საერთო ჯამში, საზოგადოების დაკვეთა არის მკაფიო. ამის გაგება არ შეუძლია, არც აქვს ამის დავალება და უფლება ბატონ თალაკვაძეს და ამის გაგება, ჯერ ვერ ვხედავ, რომ ჰქონდეს ივანიშვილს, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

გიორგი გახარია ნიკოლ ფაშინიანს შეხვდა

გუშინ, 3 მარტს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასა და სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანის პირისპირ შეხვედრა გაიმართა.

– ჩემი ვიზიტი ერევანში ძალიან ნაყოფიერი და შთამბეჭდავი იყო და მის შედეგებზე დღეს ჩვენ სამუშაო რეჟიმში ვისაუბრებთ. დარწმუნებული ვარ, თქვენი დღევანდელი სტუმრობაც მოიტანს მეტ შედეგებს ჩვენს ხალხს შორის მეგობრული და ეფექტური თანამშრომლობისთვის, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

მან ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს, ქართველი ხალხის ურყევი გადაწყვეტილებით, მისი მშვიდობის, სტაბილურობის და უსაფრთხოების გარანტი არის ევროატლანტიკური ინტეგრაცია.

– ჩვენ ამ მიმართულებით ვვითარდებით. დარწმუნებული ვარ, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში მჭიდრო და ეფექტური თანამშრომლობა ორივე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია.

საბოლოო ჯამში, ჩვენი მიზანია ჩვენს სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება ყველა იმ სფეროში, რომელიც აღელვებს ჩვენს მოსახლეობას. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ამ გეგმის განსახორციელებლად დღეს კიდევ ერთ წარმატებულ ნაბიჯს გადავდგამთ, – აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოსა და სომხეთს შორის არსებულ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს გაუსვა ხაზი სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა.

– ჩვენ ათასწლეულებია, გვერდიგვერდ ვვითარდებით. საქართველოსთან ჩვენი ურთიერთობების გაგრძელება სტრატეგიულ ჭრილში წარმოგვიდგენია. ჩვენ გვაქვს ურთიერთობების უფრო ფართო განვითარების შესაძლებლობები და სფეროები, – განაცხადა ნიკოლ ფაშინიანმა.

მისი თქმით, ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში საქართველოსთან ურთიერთობები ხარისხობრივად სხვა დონეზე გადავიდა.

– გვჯერა, ამ შეხვედრის შემდეგ ისინი კიდევ უფრო გამყარდება. ჩვენ ჩვენი შეთანხმებების ყველა პუნქტს ვახორციელებთ. თბილად ვიხსენებ ჩვენს პირველ შეხვედრას ერევანში. დიდი სიამოვნებით ვსტუმრობ საქართველოს და ჩვენი შეხვედრები არის ის საფუძველი, რაც ჩვენს ორ ხალხს კიდევ უფრო აახლოებს, – განაცხადა ნიკოლ ფაშინიანმა.

პირისპირ საუბრის შემდეგ გაფართოებული ფორმატის შეხვედრა გაიმართა, რომელშიც ორი ქვეყნის მთავრობის წევრები მონაწილეობდნენ.

ამირან გამყრელიძე: „კორონავირუსის გავრცელების ერთ-ერთი წყარო ფულია“

– ერთ-ერთი წყარო კორონავირუსის გავრცელებისა გახლავთ ფული. მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ ანგარიშსწორებები ელექტრონული იყოს.

ამის შესახებ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა.

მისი რეკომენდაციით, სასურველია ნაღდი ფულის მოხმარების შემდეგ აუცილებლად დავიმუშაოთ ხელები სადეზინფექციო საშუალებებით.

– დღეს მინდა, მოვუწოდო ბანკებს და განსაკუთრებით იმ ბანკებს, ვინც არიგებენ ნაღდი ფულით პენსიებს. ზოგადად მოსახლეობას მინდა მოვუწოდო, ამ პერიოდში ეს ჩვენთვის შესაძლებელია ნაკლებად დამაზიანებელია იმიტომ, რომ ჩვენ შიდა გავრცელება არ გვაქვს. ამ მეთოდს იყენებდა ჩინეთი, მაგრამ რაც უფრო ადრე გამოვიყენებთ ამ ტიპის პრევენციულ ღონისძიებებს, მით უფრო დავიცავთ თავს.

რას ნიშნავს ეს? ჩინეთი ამ პერიოდში მთლიანად გადავიდა ვირტუალურ ვალუტაზე, ანუ ყველა ანგარიშსწორება ხდება იქ ელექტრონულად. ჩვენთანაც უნდა ვეცადოთ, რომ მაქსიმალურად ანგარიშსწორებები იყოს ელექტრონული, მაგრამ იქ, სადაც აუცილებელია ნაღდი ფული, სასურველია, ნაღდი ფულის გამოყენების შემდეგ მაქსიმალურად დავიმუშაოთ ხელები, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

მან რეკომენდაციით მიმართა ბანკებსაც, რომ ყველა ფილიალში მოაწყონ ხელის სადეზინფექციო კუთხე, სადაც განთავსებული იქნება დეზინფექტორები.

– სასურველია და ბანკებს აქვთ შესაბამისი შესაძლებლობები, რომ ყველა ფილიალში, ბანკის ყველა განყოფილებებში იყოს ხელის დასამუშავებელი სადეზინფექციო სივრცეები და შესაბამისად, იქ იდგეს დეზინფექტორები, სადაც ადამიანს, ვინც შედის და გამოდის ბანკიდან, მით უმეტეს თუ აქვთ შეხება ფულთან, ჰქონდეს საშუალება ხელის დამუშავების.

ეს აუცილებელია თვითონ ბანკის თანამშრომლებისთვის, ვინც გასცემენ ნაღდი ფულით თანხას და ასევე, იმ ადამიანებისთვის, ვინც იღებენ ნაღდ ფულს, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

მან კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის იმ ბანკებს, რომლებიც პენსიებს გასცემენ, მიმართა, რომ პენსიები ელექტრონულად გასცენ, რათა ნაღდი ფულის გამოყენებას თავი აარიდონ.

– ამავე დროს, განსაკუთრებით თავშეყრა არის, როდესაც პენსიების გაცემა ხდება და მინდა ვთხოვო იმ ბანკებს, რომლებიც გასცემენ პენსიას, რომ ხელი შევუწყოთ ადამიანებს, რომ იქნებ გაცემა იყოს ელექტრონულად და თუ ამის საშუალება არ არის და ადამიანს არ უნდა, მაშინ პენსიონერებს შევუქმნათ შესაბამისი შესაძლებლობა, რომ მათ ფულის აღების შემდეგ ან მანამდე ზოგადი ჰიგიენური წესები დაიცვან და ამავე დროს თუ შესაძლებელია, რომ თავი ავარიდოთ დიდ თავშეყრასა და დიდ რიგებს ამ დროს, – განაცხადა დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორმა.

მისი თქმით, კორონავირუსი, შესაძლოა, მობილური ტელეფონის საშუალებითაც გავრცელდეს, თუ მასთან შეხება ინფიცირებულ ადამიანს ექნება, თუმცა ვირუსის ამ გზით საქართველოში გავრცელება ნაკლებად რეალისტურია.

– რა თქმა უნდა, საქართველოში ეს ამ ეტაპზე ნაკლებ რეალისტურია ისევე, როგორც ფულით გავრცელება, მაგრამ მობილური ტელეფონი, როგორც ყველაზე უფრო გამოყენებადი ნივთი, თუ ის ინფიცირებულ ადამიანს აქვს, მისი დაცემინების და ხველების შემდეგ, ვირუსი რამდენიმე საათი სხვადასხვა ზედაპირებზე რჩება.

ის, შეიძლება, ხელის საშუალებით იქნეს გადატანილი. ჩინეთში, სადაც ამ დაავადების დიდი გავრცელებაა. ეს შემთხვევები აღწერილია. ჩინეთში რეკომენდებულია მობილური ტელეფონების შესაბამისი დამცავი საშუალებების გამოყენება, – დასძინა ამირან გამყრელიძემ.

ასლან ბჟანია კომიდან გამოვიდა

რა ხდება სოხუმში

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა ვალერი ბგანბამ დე ფაქტო ჯანდაცვის მინისტრ თამაზ ცახნაკიას დავალება მისცა, რუს კოლეგებთან ინტენსიურ კავშირზე იყოს ასლან ბჟანიას ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

2 მარტს ოკუპირებული აფხაზეთის ერთ-ერთი ე.წ. საპრეზიდენტო კანდიდატი ასლან ბჟანია მოწამვლის ნიშნებით სოჭის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სოჭიდან კი ის ვერტმფრენით კრასნოდარში გადააფრინეს.

აფხაზეთის პარლამენტის სპიკერ ვალერი კვარჩიას თქმით, სოჭის კლინიკაში ასლან ბჟანიას ინსულტი დაუდგინეს.

კრასნოდარის კლინიკაში ასლან ბჟანია კომიდან გამოვიდა. ამის შესახებ მისმა წარმომადგენელმა რენატ ქარჩავამ თქვა.

– პოზიტიური დინამიკაა. კომა იყო ხელოვნური, მედიკამენტოზური, გამოყენებული მის დასაცავად. ახლა ეს დაცვა მოხსნილია. ასლან ბჟანია კომიდან გამოვიდა და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, – განაცხადა მან.

რენატ ქარჩავას თქმით, ასლან ბჟანია ადეკვატურად რეაგირებს ყველა კითხვაზე, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ თავის ქნევით პასუხობს.

– მოტორიკა, ხელები, ფეხები მოძრაობაშია. გუშინ თქვეს, რომ მას ინსულტი აქვს, მაგრამ მისი ახლანდელი მდგომარეობა ამ ხმებს აქარწყლებს, – აღნიშნა მან.

ქარჩავას თქმით, ექიმები ფრთხილ ოპტიმიზმს გამოთქვამენ.

– ექიმების დიაგნოზი წინასწარია, ამიტომ მისი დაზუსტებაა საჭირო, – ხაზი გაუსვა მან.

გუშინ, 3 მარტს, ასლან ბჟანიას მხარდამჭერები აფხაზეთის ე.წ. მინისტრთა კაბინეტის შენობაში შეიჭრნენ. ისინი მესამე სართულზე ავიდნენ, სადაც პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი ვალერიამ ბგანბა მომიტინგეებთან შეხვედრას მართავდა.

მომიტინგეებმა ე.წ. პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობის დატოვებასთან ერთად მთელი რიგი მინისტრების, ძალოვანი ბლოკის, რაიონული ხელმძღვანელებისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მეთაურების გადადგომა მოითხოვეს.

მათი განცხადებით, „ქვეყნის ხელისუფლება ხელს უშლის სამართლიანი საარჩევნო კამპანიის გამართვას“.

* * *

ოკუპირებულ აფხაზეთში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ამ მიმართულებით მომუშავე ექსპერტები 2 ვერსიაზე საუბრობენ.

ერთი ვერსიით, მოსკოვი თავიდან იცილებს არასასურველ კანდიდატს. ექსპერტების თქმით, ბჟანია კრემლისთვის მიუღებელია, თუნდაც იმ განცხადების გამო, რომელიც მან თბილისთან დიალოგის აუცილებლობაზე გააკეთა.

– აფხაზები უფრო და უფრო იქნებიან ანტირუსულად განწყობილი, იმიტომ, რომ ბაღაფშის მერე ბჟანია, ეს, ფაქტობრივად, ერთი ფრთის ადამიანები არიან და მათი მოშორება პირდაპირი რუსული ჩარევით იქნებოდა მათთვის ძალიან ცუდად აღსაქმელი ფაქტი, – აცხადებს ექსპერტი ირაკლი ცქიტიშვილი.

ექსპერტების მეორე ნაწილი ბჟანიას მოწამვლის შემთხვევებს კრიმინალური კლანებს შორის ბრძოლას უკავშირებს. მათი თქმით, კლანებს არ აწყობთ ბჟანიას ხელისუფლებაში მოსვლა, რადგან ის კრიმინალურ კლანებთან ბრძოლას აპირებს:

– ეს უფრო ადგილობრივი კრიმინალური კლანების ნამოქმედარს ჰგავს, მაგრამ რუსეთის ტერიტორიაზე მოხდა ორივე მოწამვლა და შეიძლება, დაბალი დონის ჩინოვნიკების ან, სპეცსამსახურების ხელი ურევია, მაგრამ ეს უფრო შეკვეთაა კრიმინალური კლანების, რომლებიც მართავენ აფხაზეთს, – აცხადებს სოხუმელი ბლოგერი გიორგი ჯახაია.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ლევან ალაფიშვილი: „აშშ გვაფრთხილებს და, თუ არ გავითვალისწინებთ, ყველა დავზარალდებით“

„მარგველაშვილს ხელი მიუწვდება სახელმწიფო საიდუმლოებაზე და მისთვის დაცვის მოხსნით სახელმწიფო რისკის წინაშე დგება“

იაგო ნაცვლიშვილი

ამერიკელმა კონგრესმენმა, ამერიკა-საქართველოს მეგობრობის ჯგუფის თანათავმჯდომარე ადამ კიზინგერმა „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციისთვის მიცემულ ინტერვიუში ზომიერი, მაგრამ მკაფიო გზავნილები გააკეთა საქართველოში არსებულ პოლიტიკურ გარემოზე. კონგრესმენი ყველა მხარეს მოუწოდებს, რომ კონსენსუსი მოძებნონ და პოლიტიკური ბრძოლა საარჩევნო უბნებზე გააგრძელონ, ამბობს, რომ უგულავას დაჭერაზე ჰქონდათ ინფორმაცია და „ოცნების“ ლიდერებს უთხრეს, რომ ეს საშინელება იქნებოდა. დემოკრატიასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ შეშფოთების საფუძველი არსებობს. მისი თქმით, ანაკლიასთან დაკავშირებულ მოვლენებზე აშშ დაკვირვებას აგრძელებს.

ადამ კიზინგერის გზავნილებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იურისტი **ლევან ალაფიშვილი** აფასებს.

– ადამ კიზინგერისგან ხელისუფლების მიმართ მოწოდება არაერთხელ მოგვისმენია, მაგრამ აქ უკვე გაჟღერდა ოპოზიციის მისამართითაც, რომ კომპრომისი მოიძებნოს და შეთანხმება იყოს მიღწეული, რათა პოლიტიკური ბრძოლა საარჩევნო უბნებზე გაგრძელდეს. ეს მოწოდებაა, დიალოგისთვის ყველაფერი გააკეთეთო? ასე უნდა გავიგოთ?

– ამერიკელები ქართველ ხალხს აღიქვამენ პარტნიორებად და მეგობრებად და არა მის რომელიმე ნაწილს, იქნება ეს ხელისუფლება, ოპოზიცია თუ სხვა რომელიმე ჯგუფი. ამდენად, მათი წუხილი, მხარდაჭერა თუ მოწოდებები ყველა ჩვენგანთან არის. შესაბამისად, მათი მოწოდებები, მწვავეც კი, არის დიდი მეგობრისა თუ გულშემატკივრის განცხადებები. შესაბამისად, როდესაც ეს მოწოდებები არასწორად იქნება ხოლმე წარმოჩენილი ქვეყნის შიგნით, ბუნებრივია, მას მოჰყვება დამატებითი განცხადებები. ადრეც ყოფილა, რომ ერთი ჯგუფი ცდილობდა, ამერიკის პოზიცია წარმოეჩინა საკუთარ მხარდაჭერად ან, პირიქით, ოპონენტის კრიტიკად, შემდეგ კი კეთდებოდა განცხადებები, რომ ეს იყო საქართველოს მხარდაჭერა და არა რომელიმე პოლიტიკური ჯგუფისა.

ამერიკა-საქართველოს მეგობრობის ჯგუფის თანათავმჯდომარის ეს განცხადებაც ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რომ ამერიკა დაინტერესებულია, საქართველო იყო დემოკრატიულად ძლიერი ქვეყანა, რომელიც სამაგალითო იქნება რეგიონში და მას ექნება ის ფუნქციაც, რომ სხვებისთვის იყოს მაგალითის მიმცემი.

– დემოკრატიაზე თქვა, რომ ამ ეტაპზე საფრთხეში არ არის, მაგრამ შეშფოთების საფუძველი არსებობს. არჩევნების საკითხზე თქვა, რომ თუ არ შეასრულებს ხელისუფლება საარჩევნო საკითხებზე შეთანხმებას, აშშ შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს. ისაუბრა იმაზეც, რომ ვალდებულებები უნდა შევასრულოთ. ეს ხელისუფლების მიმართ გაფრთხილებად უნდა აღვიქვათ?

– ეს არის გაფრთხილება ჩვენი ამერიკელი გულშემატკივრისა და მეგობრისა იმისთვის, რომ შეგვახსენოს, რომ დემოკრატიაში ხალხის ნება, ხალხისთვის მიცემული დაპირება და კონსენსუსის ძიება ის ფუნდამენტია, რომლითაც ვითარდება ქვეყანა და არა პირიქით, ურთიერთგამიჯვნით, კანონის საკუთარ თავზე მორგებითა თუ სხვა არადემოკრატიული მეთოდებით მართვა იქნება თუ გადაწყვეტილებების მიღება. როდესაც დიალოგსა და კონსენსუსზე საუბრობს, ის ისევ დემოკრატიის ფუნდამენტს შეგვახსენებს. თუ გვინდა, რომ ვიყოთ დემოკრატიული თანამეგობრობის ღირსეული პარტნიორი და არა ავტორიტარული ქვეყნების წარმონაქმნი, მაშინ, ბუნებრივია, ქვეყანას დემოკრატიულად უნდა ვმართავდეთ და ამ პრინციპების დაცვით უნდა ვცხოვრობდეთ.

თქვენს პირველ კითხვაშიც აღნიშნეთ მისი მოწოდება პოლიტიკური ჯგუფების მიმართ და, ამავე დროს, ეს არის საზოგადოების მიმართ მოწოდებაც. თუკი არჩევნებსა და მის ლეგიტიმაციაზე ვსაუბრობთ, აქ გადამწყვეტი არის არჩევნები. ეს არის კონკურსი, სადაც გადამწყვეტი სიტყვა სწორედ მოქალაქეს ეკუთვნის. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიებს, მაგრამ მთავარი ხალხია.

– კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია პოლიტიკური სასამართლო, რა რეალობაც გვაქვს საქართველოში. ამაზეც ისაუბრა, რომ ეს კომპონენტი ჩამოშორებული უნდა იყოს, უგულავას თემაზე კი თქვა, რომ „ოცნების“ ლიდერებს უთხრა, რომ მისი დაჭერა საშინელება იქნებოდა.

– ამერიკისა და ევროპის ქვეყნები დიდი ხანია, კრიტიკულ განცხადებებს აკეთებენ სხვადასხვა ტონალობაში და შეგვახსენებენ, რომ დემოკრატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი არის დემოკრატიული და სამართლიანი სასამართლოს არსებობა, რადგან სასამართლო არის უმთავრესი ინსტრუმენტი მოქალაქეთა ხელში, რომ შევაკავოთ ხელისუფლება, იქნება საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი. თუკი სასამართლო იქნება პოლიტიკური გავლენების ქვეშ, ბუნებრივია, ჩვენი მოქალაქეები დაუცველნი ვრჩებით. თუ სასამართლო მმართველი გუნდის ხელშია, ჩვენი უფლებების დროს სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევაში, ბუნებრივია, გადაწყვეტილება ვერ იქნება ჩვენთვის სასარგებლო. თუ ამას დავუმატებთ ნდობაშერყეულ საგამოძიებო სისტემას, დავინახავთ იმ საკმაოდ შემაშფოთებელ სურათს, რომელზეც მიგვითითებენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები, პირველ რიგში, ამერიკელები.

გავიხსენოთ ბოლო პერიოდის განცხადებები არა მხოლოდ უგულავას საქმეზე, არამედ თუნდაც უზენაესის მოსამართლეების შერჩევის საკითხზე. გავიხსენოთ სახელმწიფო დეპარტამენტის ბოლო განცხადება სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით. ასე რომ, ამერიკა გვეუბნება, გააძლიერეთ დემოკრატია, თქვენ ჩვენთვის ძვირფასები ხართ, მაგრამ, თუკი დემოკრატია არ იქნება თქვენი არჩევანი, ჩვენ მოგვიწევს სამწუხარო გადაწყვეტილებების მიღება. მე არ ვიტყოდი, რომ დამშვიდობება, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, სხვა საშუალებები შეიძლება მოიძებნოს, რომლებიც თითოეულ ჩვენგანს დაგვაზიანებს.

ამიტომ ვამბობ, რომ მოქალაქეებმა უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა და რომელიმე ერთი ჯგუფი ვერ განავითარებს სახელმწიფოს, ისინი ვერ შეცვლიან ჩვენს ცნობიერებასა და ქცევას. დემოკრატიული სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობა ჩვენც უნდა გავაცნობიეროთ და ვიმოქმედოთ კიდეც – დავიცვათ თავისუფლება და ის ძალაუფლება, რომელიც ჩვენ გვეკუთვნის. ეს არც საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილ პოლიტიკოსებს ეკუთვნით და არც მთავრობაში. ძალაუფლება ჩვენია და ჩვენ ვახდენთ მის დელეგირებას. დღეს რასაც ვხედავთ, ვერ ვიტყვი, რომ ხალხის ხმა წინა პლანზეა, რაზეც ვერ ვიტყვი, რომ კარგია.

– ანაკლიის პორტზეც ისაუბრა კიზინგერმა, მოზომილი განცხადება გააკეთა და თქვა, რომ პროცესებს აკვირდება და ეს პროექტი მნიშვნელოვანია როგორც ჩვენთვის, ისე აშშ-სთვის. რატომ არის ასეთი მნიშვნელობის მატარებელი ამერიკისთვის?

– საქართველო არა მხოლოდ დემოკრატიის ხარისხით გაძლიერებული, არამედ ეკონომიკურად და გეოპოლიტიკურად, არის დასავლეთის სურვილი, რომ მისი პარტნიორი იყოს მრავალი ასპექტით ძლიერი. ჩვენი ეკონომიკა არის მოწყვლადი და ის ჯერ არ არის მდგრადი. სწორედ ამიტომ არის შანსი, ისტორიული შანსი, რომელიც შეიძლება გამოიყენოს სახელმწიფომ გონივრულად. სწორედ ამ შანსის ძიებასა და მხარდაჭერაში გვიდგას დასავლეთი გვერდით.

ანაკლიის პროექტზე მეორე ფაზის დროს ევროკავშირმა 300 მილიონი უკვე ბიუჯეტით გაითვალისწინა. სამწუხაროდ, მთავრობის გადაწყვეტილების შემდეგ ეს თანხა საქართველოს აღარ მოხმარდება. ეს საკითხი უფრო მასშტაბურია, მაგრამ შეიძლება შევაფასოთ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი. მაშინ გვახსოვს ჩვენი „კეთილმეზობლური“ ქმედებები რუსეთის მხრიდან. მან ყველაფერი გააკეთა ამ პროექტის ჩასაშლელად, თუნდაც სახელმწიფოს მეთაურის აფეთქება, მაგრამ ეს შედგა, რამაც ჩვენი ეკონომიკა და უსაფრთხოება არსებითად სხვა ეტაპზე გადაიყვანა. საქართველო აღარ იყო მარტო და საქართველოში გაჩნდა უცხოური ინვესტიციები.

– ანუ მაშინ შევარდნაძე პრინციპული და შეუპოვარი იყო და ეს ნება ვერ გამოავლინა დღევანდელმა ხელისუფლებამ?

– პოლიტიკა იცვლება და, შესაძლოა, კონკრეტული ისტორიული მოცემულობის კვალობაზე სხვადასხვაგვარი გადაწყვეტილება იყოს მიღებული, თუმცა, რა თქმა უნდა, კონკრეტული პოლიტიკური პერსონების სიმამაცეს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. დღევანდელ ხელისუფლებას გაცხადებული აქვს დაბალანსებული პოლიტიკა და, შესაძლოა, ფიქრობს, რომ ეგებ გადაგორდეს რუსეთის ინტერესები ამ საკითხთან მიმართებით, ამ პროექტის ზრდის კვალობაზე და იმ დროს დაელოდოს, როდესაც განაახლებს ანაკლიის პროექტს. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მთავრობა გაბედავს და ანაკლიაზე საბოლოოდ უარს იტყვის. რუსეთში განვითარებული მოვლენების მიმართ ლოდინიც არ მიმაჩნია გონივრულად, რადგან, რუსეთის ისტორიას თუ გადავხედავთ, ის ყოველთვის თანმიმდევრულია ნებისმიერ ფასად, ყველაფერს აკეთებს მის მისაღწევად, ყოველგვარი პარტნიორული ინტერესების ფეხქვეშ გათელვის ხარჯზე.

ამას გარდა, პროექტს აქვს გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და პირდაპირ უკავშირდება ჩვენს უსაფრთხოებას. ჩვენი უსაფრთხოება არსებითად სხვა ეტაპზე გადავა რეგიონული მასშტაბით, ამასთან, აქვს დიდი პოტენციალი ჩვენს აფხაზ დებთან და ძმებთან დიალოგის დაწყების, ეკონომიკური ნაწილისა და ასევე სხვა ნაწილების განვითარების თვალსაზრისით. ამ პროექტს ბევრი კომპონენტი აქვს, რის გამოც მთავრობა უნდა იყოს უფრო გახსნილი და არ უნდა ცდილობდეს ქვეყნის გარეთ დალოდების გზით პრობლემის გადაწყვეტას. ამით მხოლოდ წავაგებთ, ვინაიდან, თუ შანსი გავუშვით ამ მოცემულობაში, შესაძლოა, ის შანსი აღარ მოგვეცეს.

ჩვენ რომ ხელიდან გაგვეშვა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის შანსი, მას არ მოჰყვებოდა სხვა ენერგეტიკული პროექტები და მნიშვნელოვანი ინვესტიციები, რომლებიც ამის შემდგომ განხორციელდა. იმ დროს ეს პროექტი რომ არ განხორციელებულიყო, საერთოდ არ განხორციელდებოდა. ისიც შეიძლება დამდგარიყო კითხვის ნიშნის ქვეშ, საქართველო იარსებებდა თუ არა, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო ან იარსებებდა თუ არა საქართველო სახელმწიფო რუკაზე. ესეც კი, შესაძლოა, მსჯელობის საგანი იყოს.

– ახსენეთ პრეზიდენტი და ცნობილი ხდება, რომ მეოთხე პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს სახელმწიფო დაცვას უხსნიან. ეს უნდა მიიღო მთავრობას თუ ცალსახად პოლიტიკურად მიკერძოებული გადაწყვეტილებაა?

– 2011 წლიდან აკვიატებასავით მაქვს, რომ დეინსტიტუციონალიზაცია არის ჩვენი სახელმწიფოებრიობის უმთავრესი გამოწვევა. ინსტიტუტების ნგრევა და ფიქციად ქცევა, საბოლოო ჯამში, ძირს უთხრის ჩვენს სახელმწიფოებრიობას. როდესაც ინსტიტუტების ნგრევა ხდება, რომელიც სხვადასხვა ქმედებით გამოიხატება, ეს ანგრევს სახელმწიფოს. ერთ-ერთია სწორედ სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება, როდესაც თანამდებობიდან წასვლის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

დავით ჭიჭინაძე: „ოცნებასა“ და ხალხს შორის ჩატეხილი ხიდი ვერ აღდგება“

ნათია ხურცილავა

პარტია „ტრიბუნის“ ლიდერი, პარლამენტის დეპუტატი **დავით ჭიჭინაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, თქვენ ეკონომიკურ საფრთხეებზე საუბრობთ, რაც მსოფლიოში კორონავირუსის გავრცელების თანმდევი შეიძლება იყოს. ჩვენთან რა შემთხვევაშია ეკონომიკური პანიკა მოსალოდნელი?

– ამ ფორსმაჟორულ სიტუაციაში სწორედ ეკონომიკური მიმართულებით უნდა გადადგას ხელისუფლებამ კონკრეტული ნაბიჯები. თუ გათვლილ და სწორ ნაბიჯებს არ გადადგამს მთავრობა, მაშინ ქვეყანაში ეკონომიკური პანიკა გარდაუვალია.

კონკრეტული ღონისძიებებია გასატარებელი, რომ მოსახლეობა არ გაკოტრდეს. ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის საკითხი შეიძლება დადგეს, სესხების დაფარვის და ა.შ. შეიძლება ეს იყოს ერთ-ერთი დიდი გამოწვევაა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც დღეს კარანტინში არიან.

დანარჩენი საკითხები ბევრად უფრო გლობალურია. მაგალითად, ქვეყანაში უნდა არსებობდეს საწვავის მარაგი. საწვავის, რომელიც გაზაფხულზე სასოფლო-სამეურნეო მიწების დასამუშაებლად არის საჭირო. ერთ-ერთი ყველაზე დიდი მომწოდებელი ირანია. შესაბამისად, ამ მიმართულებით ნაბიჯებია გადასადგმელი, რომ შემდეგ უარყოფითი შედეგები არ მოვიმკათ. ასევე, ქვეყანაში უნდა არსებობდეს ხორბლის მარაგი. მოგეხსენებათ, ხორბლის 80-85%-ის იმპორტი ხორციელდება. ახლავე არის ამ მიმართულებით ნაბიჯები გადასადგმელი, რომ შემდეგ გვიანი არ იყოს.

„ბანკები რომ სესხებს 17-18%-ად იძლევიან, ამაზე არავინ საუბრობს“

ეს ყველაფერი დღეს კერძო კომპანიების ხელშია, მაგრამ სახელმწიფოს აქ მართებს სერიოზული მუშაობა, რომ ერთი მხრივ არ იყოს ბაზარზე სპეკულაციები და მეორე მხრივ, რეალურად არ დადგეს ქვეყანა სერიოზული დეფიციტის წინაშე, რომელსაც მერე უკვე გარდაუვლად მოჰყვება ეკონომიკური პანიკა.

– თუნდაც ისეთი, როგორიც აფთიაქებში შეიქმნა?

– რასაკვირველია! სააფთიაქო ქსელებმა ხალხის უბედურების ხარჯზე თავიანთი გამდიდრებისთვის არ უნდა იზრუნონ, რისი მოწმენიც ვართ ყოველთვის, როდესაც სახელმწიფოს უჭირს. ამიტომ არის საჭირო სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული რეგულაციების ამოქმედება სწორედ ასეთ კრიზისულ სიტუაციებში. სახელმწიფო კონტროლის ქვეშ უნდა იყოს, რომ კომერციალიზაცია არ მოხდეს.

აფთიაქები პრაქტიკულად დაცარიელებულია და თუ რამე აქვთ, ხუთ-ათმაგ ფასებში ყიდიან. ეს სახელმწიფო ღალატის ტოლფასია და ამაზე სანქციებია დასაწესებელი. ეს კომპონენტი ყოველთვის სერიოზულ პრობლემას უქმნის ქვეყანას.

– სამედიცინო პირბადეების წარმოებაზე ორმა კომპანიამ გამოთქვა სურვილი. თუმცა, ჯერ მეტი არაფერია ცნობილი. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?

– რა არის ამისთანა პირბადის წარმოება, რომლის დეფიციტია ქვეყანაში. რატომ არ უნდა შეგვეძლოს მისი წარმოება? სამხედრო ქარხნებს და ქალაქებს ქმნიან სახელმწიფოები და ჩვენ პირბადე ვერ უნდა ვაწარმოოთ?!

ასეთ დროს სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს ასეთი წარმოება ყოველგვარი კომერციალიზაციის გარეშე და ეს თავის თავზე უნდა აიღოს, მით უფრო, ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში.

ძალიან სერიოზული გამოწვევების წინაშე ვდგავართ. პრაქტიკულად შეიძლება ვერც კი ვაცნობიერებთ, რა ეკონომიკური ზიანი შეიძლება ამ ყველაფერს მოჰყვეს. ჯერჯერობით მსოფლიო ეკონომიკა ამ შემოტევას უძლებს, მაგრამ თუ ეს ვითარება გაგრძელდება, კოლაფსი გარდაუვალი იქნება. მე მეშინია, რომ ჩვენ ამ გამოწვევას მოუმზადებლები შევხვდებით.

– ბატონო დავით, პოლიტიკასაც შევეხოთ. რამდენად შესაძლებელია, „ქართულ ოცნებასთან“ ოპოზიციამ შეთანხმებას მიაღწიოს?

– შეთანხმება დარღვეულია. ერთხელ ჩატეხილი ხიდი ხალხსა და ხელისუფლებას შორის ვერანაირად ვერ აღდგება. რეალურად „ქართულმა ოცნებამ“ გაცემული პირობა დაარღვია და ის ამის შესრულებას არ აპირებს! ხალხისთვის მიცემული ყველანაირი პირობა დარღვეულია. ეს არის რეალობა.

მითხარით, ვის აქვს დღეს ხალხის მანდატი, რომელსაც აქვს უფლება, რომ ხალხის მაგივრად მიიღოს გადაწყვეტილებები?! მე ასეთ ძალას უბრალოდ ვერ ვხედავ. ეს მოლაპარაკებები უფრო ჰგავს საკუთარ ბედზე შეწუხებული ადამიანების მოლაპარაკებებს. საკუთარი თავების დაბინავების მცდელობას უფრო ჰგავს ეს ყველაფერი, ვიდრე ხალხის დაკვეთის შესრულებას.

დღეს ქვეყანაში მთავარი პრობლემა გაჩერებული ეკონომიკა და ბანკების მონოპოლიაა. ბანკები რომ სესხებს 17-18%-ად იძლევიან, ამაზე არავინ საუბრობს. ხომ მყარდება ლარი, რატომ არ წევენ საპროცენტო განაკვეთს, ამით ინტერესდება ვინმე?!

– როგორ ფიქრობთ, რატომ?

– იმიტომ, რომ კონკრეტული ფინანსური ჯგუფის მსახურები გვყავს და არა – ხალხის მსახურები.

ამიტომ არის, რომ ადამიანები ახალი პოლიტიკური ძალის მოლოდინში არიან, მათ არსებულის მიმართ უნდობლობა აქვთ და ეს კვლევებით დასტურდება.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ადამიანებს რწმენა დავუბრუნოთ.

„კინზინგერი ივანიშვილს სანქციებით დაემუქრა“

თორნიკე შარაშენიძე: „საბოლოოდ გავა 110/40-ზე“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **თორნიკე შარაშენიძე** პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, ოპოზიცია არ არის თანახმა ხელისუფლების შეთავაზებაზე. შევიდა ჩიხში ეს პროცესი, რადგან დრო ძალიან ცოტაა. რა იქნება?

– ბოლო დღეებში გაირკვევა ყველაფერი. ორივე მხარე ცდილობს, ბოლომდე ივაჭროს და ამიტომ არც ერთი მხარე არ თმობს. ითქვა, რომ 9 მარტია ბოლო ვადა და სწორედ ბოლო დღეებში გაირკვევა.

– გამოუშვებს ხელისუფლება პოლიტპატიმრებს, წავა ამ დათმობაზე?

– არის ასეთი ვარიანტიც, რომ შეინარჩუნოს ძველი სისტემა და სამაგიეროდ გამოუშვას პოლიტპატიმრები. არის ამის ვარიანტი, რატომაც არა. ხელისუფლებისთვის მთავარია, შეინარჩუნონ მაჟორიტარების მაქსიმალურად დიდი რიცხვი, დანარჩენი ყველაფერი მეორეხარისხოვანია.

– მუქარა ამერიკიდან – ბევრისთვის მოულოდნელი იქნება ის, რასაც გავაკეთებთ საქართველოში. როგორ აღიქვით კინზინგერის ეს განცხადება? ვის ემუქრება, ხელისუფლებას?

– რა თქმა უნდა, ხელისუფლებას. აბა სხვანაირად ვერ გააგებინეს ვერაფერი, სანამ ლამის ლანძღვა-გინებაზე არ გადავიდნენ, ვერ გაიგეს ვერაფერი.

– რა იგულისხმება ამ მუქარაში, სანქციები?

– რა თქმა უნდა, სანქციები, ეს იქნება პერსონალური, ვიღაც-ვიღაცების მისამართით. ეს ამერიკელებმა კარგად იციან, მოგეხსენებათ.

– ის დათმობები, რაზეც ხელისუფლება მიდის, მათთვისაც მიუღებელია?

– მათ უნდათ მაქსიმალურად სამართლიანი სისტემა და ჯერჯერობით ამას ვერ ხედავენ. 110/40-ზეც არ არის მაინცდამაინც სამართლიანი.

– ამაზე ქვემოთ არ ჩავა „ოცნება“?

– მე მგონია, რომ ეს არის მაქსიმუმი რასაც დათმობენ.

– ოპოზიცია გეგმა ბე-ზეც მუშაობს. ვგულისხმობ ერთიან მაჟორიტარებს.

– კი, ოპოზიცია მუშაობს გეგმა ბე-ზე, ეს ქმნის იმის შანსს, რომ გადატეხონ სიტუაცია, ისე, როგორც 2012-ში გადატყდა, თუმცა 2012-ში მოხდა ის, რომ დისკრედიტაცია განხორციელდა ხელისუფლების, უშუალოდ არჩევნების წინ და ამიტომ მოიგო ოპოზიციამ მაჟორიტარებიც.

ახლა ასე მარტივად არ იქნება. ახლა თუ არ მოხდება რაიმე ისეთი სერიოზული, როგორიც 2012-ის სექტემბერში, ვგულისხმობ ციხის კადრებს, ოპოზიციისთვის ასე მარტივად არ იქნება საქმე. იმიტომ, რომ წავა ისევ რესურსების ომი და რესურსები ხელისუფლებას მეტი აქვს.

– რა უნდა მოხდეს ისეთი, რამაც შეიძლება გადატეხოს ეს სიტუაცია?

– ვნახოთ, შეიძლება მოხდეს რაღაც, ჯერჯერობით არ ჩანს ეს სასწაული. ჯერჯერობით ისევ სალაპარაკოა 20 ივნისი და ამასობაში 20

ივნისიც მიავიწყდება ხალხს. ამიტომაც, თუ რამე ახალი ბომბი არ აუფეთქდა „ოცნებას“, ისევ ექნება შანსი, რომ არჩევნები მოიგოს მაჟორიტარების ხარჯზე.

აი, ამაშია საქმე და ამიტომაც ეჭიდება მაჟორიტარებს.

– მაშინ დასავლეთმა სანქციები მანამ უნდა აამოქმედოს, სანამ არის კიდევ დრო ცვლილების, მერე აქვს აზრი ამ ყველაფერს?

– რა თქმა უნდა, ამას ისინიც კარგად ხვდებიან. თან ისე მიჰყავთ საქმე მოლაპარაკებებში, რომ თვითონ ყველაფერს აკეთებენ, მაგრამ ოპოზიცია ჯიუტობს, რომ თავიდან აიცილონ გაბრაზება ამერიკელების მხრიდან.

– იყო მოლოდინი, რომ ეს არაფორმალური შეხვედრები ელჩებთან შედეგის მომტანი იქნებოდა...

– შეხვედრები თავისთავად კარგია, რადგან მათ თვალწინ ხდება მოლაპარაკებები და კარგად ხედავენ, ვინ თმობს და ვინ არ თმობს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არაა. დიპკორპუსი უყურებს, ვინ არის კონსტრუქციული და ვინ არ არის კონსტრუქციული, მაგრამ მაინც არ არის მარტივად საქმე.

„ქართული ოცნება“ მაინც ბოლომდე ითამაშებს. ითამაშებს იმით, რომ დასავლეთსაც სტაბილურობა უნდა საქართველოში, დემოკრატიაც უნდა. აქვს თემები, რითაც შეეცდება მანიპულირებას. თუ მიაღწევენ იმას, რომ ჩატარდეს სამართლიანი არჩევნები, ამას ოპოზიცია დათანხმდება. მას ჯამურად გაცილებით მაღალი პროცენტი აქვს, ვიდრე „ოცნებას“.

ჩემი აზრით, „ოცნებას“ აქვს მაქსიმუმ 25%. ეს არ არის საკმარისი, რომ მოიგო არჩევნები. ალბათ 25%-ზე ნაკლები აქვს ნაცმოძრაობას, მაგრამ ჯამურად ოპოზიციას მეტი აქვს.

– რას დათმობს ხელისუფლება?

– ხელისუფლება ითამაშებს ბოლომდე. ბოლომდე თამაში წავა იმითი, რომ საერთოდ დემოკრატია მთელ რეგიონში მიდის უკან. ამ ფონზე საქართველოს ხელისუფლებას სათქმელი ექნება, რომ მარტო საქართველოში არ ხდება მსგავსი რაღაცები და მთელ რეგიონში ხდება და ამიტომ საქართველოს ზედმეტი მოთხოვნები არ უნდა წაუყენონ, რომ საქართველოში საჭიროა სიმშვიდე და სტაბილურობა და სტაბილურობა შეიძლება დაირღვეს. შეიძლება დააშინონ იგივე უცხოელები სააკაშვილის აჩრდილით. ამითი ბოლომდე ივაჭრებენ, ჩემი აზრით, კულუარებში.

თუმცა დასავლეთში იმასაც კარგად ხედავენ, რომ „ოცნებას“ იმდენად დაკარგული აქვს მხარდაჭერა ხალხში, რომ მისი ხელისუფლებაში კიდევ დარჩენა სერიოზულ დესტაბილიზაციას გამოიწვევს. ამიტომ რაღაც კომპრომისია მოსაძებნი.

– ეს სანქციები, შესაძლოა, იყოს პირადად ივანიშვილის მისამართით?

– რასაკვირველია. პირველ რიგში ის იგულისხმება, პარტიის ლიდერია და რატომაც არა.

– რამდენად შეაშინებენ მას ამ სანქციებით?

– თუ ეს კაცი ფიქრობს თავის უსაფრთხოებაზე, ოჯახის უსაფრთხოებაზე, კაპიტალის უსაფრთხოებაზე, ასეთ დროს სანქციები ყველაზე უფრო საშიშია მისთვის. მით უმეტეს, თავისი კაპიტალის დიდი ნაწილი დასავლეთსა და განსაკუთრებით ამერიკაში წაიღო. ამიტომაც სანქციები მისთვის მტკივნეულია.

– ანუ ეს არის ბერკეტი, რომლის ამოქმედებასაც შეეცდება დასავლეთი?

– სხვა სერიოზული ბერკეტი, რეალურად, არც არსებობს.

***– სახელისუფლო ცვლილებებზე იყო საუბარი, მაგრამ ბოლო პერიოდია, მინელდა ეს თემა. იმაზეც საუბრობენ, რომ გახარიამ ისევ გაიმყარა პოზიციები. ასეა? თუ ისევ გააქტიურდება მისი**

შეცვლის საკითხი?

– არა მგონია, რახან უკვე გაიარა ამ ტალღამ, როდესაც აქტიურად საუბრობდნენ მის მოხსნაზე. გადაიარა ამ ტალღამ, არჩევნები ახლოვდება და ახლა, ამ სიტუაციაში, როცა „ოცნებას“ სჭირდება ერთიანობა, გახარიას გაშვება არ იქნება სწორი მისი მხრიდან.

– კორონავირუსის საფრთხეც აქტიურად დგას ქვეყანაში და კრიზისების მართვის ჯგუფი, რომელიც გახარიამ შექმნა, კარგად მუშაობსო.

– კორონავირუსის ისტერიკაზე კომენტარს არ გავაკეთებ საერთოდ. ვირუსის გამო, რომელსაც სიკვდილიანობა აქვს 2%, ასეთი პანიკის ატეხვა მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენთან საზოგადოება ეძებს ხოლმე მიზეზს შფოთისა და ისტერიკისთვის.

რაც შეეხება ხელისუფლებას, ჯერჯერობით ნორმალურად უძღვება, ადეკვატურად უძღვება ამ კრიზისს, რასაც მე ვუყურებ.

– რა იქნება საბოლოოდ?

– მე ასე მგონია, რომ საბოლოოდ გავა 110/40-ზე, ეს ყველაზე რეალისტურია ამ ეტაპზე. მთავრობაც ალბათ დარჩება იგივე შემადგენლობით.

მერე, სამწუხაროდ, ჩაერთვება ეს ნეგატიური კამპანია, ერთმანეთის გაშავება და ისტერიკები, რაც იყო საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ, ალბათ მსგავს სცენარებს ვიხილავთ ახლაც.

რასაც ვუყურებ, ზუსტად იგივეს აპირებენ.

ლევან ალაფიშვილი: „აშშ გვაფრთხილებს და, თუ არ გავითვალისწინებთ, ყველა დავზარალდებით“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

შემდგომ გარკვეული პერიოდი ინარჩუნებდნენ სახელმწიფო დაცვას და ახლა ამ წესს ცვლიან. ეს არის სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი. პირველ და მეორე პირებზეა საუბარი, პრემიერსა და პრეზიდენტზე. თუ ერთი წლის თავზე ის იქნება სახელმწიფო დაცვის გარეშე, როგორი იქნება მისი უსაფრთხოება? მას ხომ უმაღლესი დონის სახელმწიფო საიდუმლოებაზე მიუწვდებოდა ხელი.

– ანუ იმას ამბობთ, რომ ამ გადაწყვეტილებით სახელმწიფო დგება რისკის წინაშე?

– ბუნებრივია. როდესაც ამ ყველაფერს უპირისპირებ იმას, რომ ცდილობ, ეკონომიკურად გაამართლო ეს ყველაფერი, განსაკუთრებით სასაცილოა. მით უმეტეს, იმ ფონზე, როდესაც ვხედავთ თანამდებობებზე მყოფთა, მის მიღმა მყოფ პირთა მსუყე ხელფასებს, პრემიებსა და მათზე დახარჯულ ასეულ მილიონებს. რამდენიმე ათასის დახარჯვა სახელმწიფოს ყოფილ პირველი პირების უსაფრთხოებისთვის მათი პირადი უზრუნველყოფა კი არ არის, არამედ სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. აქედან გამომდინარე, ეს გადაწყვეტილება არის პოლიტიკური და, შესაბამისად, პარტიული დღის წესრიგით მიღებული გადაწყვეტილებაა. სწორედ ამ კონტექსტში განვიხილავ მე ამ კანონში მიღებულ ცვლილებას, რომლითაც პირველ პირებს – პრეზიდენტს, პრემიერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შეუმოკლეს სახელმწიფო დაცვის ვადა. არც მინდა ვიფიქრო და არც ვუშვებ იმას, რომ ისინი, შესაძლოა, აღმოჩნდნენ ვინმეს მსუყე ღუკმა, თუნდაც უსაფრთხოების კონტექსტში, მაგრამ ამას განვიხილავ თეორიულ დონეზე, რისი რისკიც ჩნდება.

მაია ნიკოლეიშვილი: „მე „ც“ ჰეპატიტის პროგრამით განვიკურნე“

„კორონავირუსთან ბრძოლის საკითხში იმედიანად ვარ“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი **მაია ნიკოლეიშვილი** პასუხობს.

– ქალბატონო მაია, კორონავირუსსა და მასთან დაკავშირებულ აჟიოტაჟზე რა აზრის ხართ? როგორ ართმევს თავს საქართველოს ხელისუფლება, ჯანდაცვა თავს ამ პრობლემას?

– სამედიცინო სფეროს ხარისხში ჩახედული ვარ იმიტომ, რომ ჩემთან უარყოფითი შემთხვევებისა და შეცდომების გამო მოდიან ხოლმე. ზოგადად, ქართული მედიცინის მაღალ ხარისხს მეც ვისურვებდი, მაგრამ ამ შემთხვევაში, რაც კორონავირუსს შეეხება, ძალიან იმედიანად ვარ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ამ მიმართულებით ქართული სამედიცინო დარგის სპეციალისტების დონე მართლა ძალიან მაღალია. ამ სფეროში დღეს ჩვენს პოსტსაბჭოთა მეზობლებთან შედარებით ბევრად წინ ვართ. თვალყურს ვადევნებ, როგორ ხდება ამ ვირუსით დაავადებულთა აღმოჩენა, რეგისტრაცია. აზერბაიჯანთან, სომხეთთან და პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ბევრად წინ ვართ. ზოგადად, არ ვიცი ხოლმე დითირამბები, როდესაც მინუსებს ვხედავ, მაგრამ ამჯერად მართლა ძალიან იმედიანად ვარ.

– იმედს რა გაძლევთ?

– იმედი მაქვს ექიმების, რომლებიც ძალიან კარგად არიან დატრენინგებული. ჩემთვის ამის მაგალითია „ც“ ჰეპატიტის პროგრამა, რომელიც საქართველოში ბრწყინვალედ შესრულდა.

– ზოგიერთმა „ც“ ჰეპატიტის პროგრამასაც აღმოუჩინა ნაკლი, რომელიც წამლებს უკავშირდებოდა.

– ისაუბროს იმან, ვინც წლების მანძილზე არ ელოდა პრეპარატის აღმოჩენას. მე პირადად ამ პროგრამით განვიკურნე. წლების მანძილზე პრეპარატის გამოგონებას ველოდებოდი. ინტერფერონით ჩემი მკურნალობა არ შეიძლებოდა. წლები ველოდი, როდის აღმოაჩენდნენ მსოფლიოში ამ პროგრამას. აღმოაჩინეს, მაგრამ უძვირესი ღირდა.

აღმოჩენილი პრეპარატით მე პირადად განვიკურნე და ამოვისუნთქე და არ მჭირდება ჩემი მაკრატლის, ჯაგრისისა და ყველაფრის ცალკე იზოლირებულად შენახვა. სტომატოლოგთან რომ მივდივარ, არ მჭირდება მისი გაფრთხილება.

მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა და ვირუსი არ შემყრია, გაციება არ ვიცი, საერთოდ, რა არის.

კორონავირუსის ერთ-ერთი სამკურნალო პრეპარატი რიბავერინია, რომელიც ამ პროგრამაშია, ანუ „ც“ ჰეპატიტის სამკურნალო პრეპარატი კორონავირუსის სამკურნალოდ ეფექტიანია, ამბობენ ექიმები. საქართველოში შემოდგომაზე საუბარი იყო, ბევრი რატომ შეიძინესო. მადლობა ღმერთს, რომ ბევრი ყოფილა.

– ამბობდნენ, წამლებს ვადა გაუვიდაო.

– ამ ტიპის ე.წ. ვადაგასული პრეპარატი ერთი წელი ვარგისია. უბრალოდ, მისი ეფექტურობა შეიძლება შედარებით დაბალი იყოს, მაგრამ პრეპარატი მაინც ვარგისია. მადლობა ღმერთს, ამდენი პრეპარატი რომ იყო შესყიდული.

– ანუ ვინც იმკურნალა „ც“ ჰეპატიტზე, კორონავირუსი ვერაფერს დააკლებს?

– ყოველ შემთხვევაში, ჩემს მაგალითზე შემიძლია გითხრათ, რომ ერთ-ერთი პირველი ჩავერთე „ც“ ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში და ვიმკურნალე. მას შემდეგ ვირუსი და სეზონური გრიპები არ დამმართნია.

– ძირითადად ოპოზიცია საუბრობს ნაკლოვანებებზე.

– საინტერესოა, ოპოზიციის ტვინი როგორ არის მოწყობილი. როცა მსოფლიო ამხელა საფრთხის წინაშე დგას, მსოფლიოში ლამის პანდემიაა, ოპოზიცია კი ამას ხელისუფლების

„დღეს პროპორციული სისტემა იქნება ქვეყნის დაღუპვა“

წინააღმდეგ იყენებს, სამარცხვინოა.

ვინც ასეთი თემით სპეკულირებს, გაყიდის მკვდარსაც, ცოცხალსაც, ომსაც. რა თქმა უნდა, წინა პრეზიდენტს ვგულისხმობ. ეს არის ადამიანის ღირებულებათა სისტემის გამოხატულება. თუ შენი ღირებულებათა სისტემა ისეთია, რომ შეგიძლია ასეთი თემებით ისპეკულირო, სამშობლოსაც გაყიდი, ტერიტორიებსაც გაყიდი და ყველაფერს იკადრებ ფულის სანაცვლოდ. ოპოზიციის ზოგიერთ წარმომადგენელს რომ ვუსმენ, უბრალოდ, მრცხვენია.

– რატომ გრცხვენიათ?

– ვუყურებ და მრცხვენია ამ ადამიანების, რადგან თავისი ხალხის წინააღმდეგ მოქმედებენ.

– სააკაშვილის ხელისუფლების მინისტრის განცხადება ხომ არ გაგახსენდათ?

– დიახ, ახალ წელს ჭიპაშვილმა რომ განაცხადა, ყოველი მესამე დაიღუპებაო. მახსოვს, სკოლის პერიოდში ქოლერა რომ იყო. აგარაკზე ვიყავით და ვინც ამოდიოდა, ვეკითხებით, რა ხდებაო. რთული სიტუაცია იყო, მაგრამ...

მე მრცხვენია, რომ საქართველოში გვყავს ოპოზიცია, რომელსაც შეუძლია იცხოვროს მხოლოდ ერთი მიზნით, როგორმე საპარლამენტო სკამი და ხელისუფლება დაიბრუნოს, თუნდაც საქართველო ცარიელი იყოს.

მაჟორიტარებს ვეთანხმები, დღევანდელი ოპოზიციის პირობებში სწორი გადაწყვეტილება მიიღეს. რაღაც ღირებულებები ხომ არსებობს? ერთად დასხდნენ ისეთი ადამიანები, რომელთა ერთად დასხდომა წარმოუდგენელი იყო. როგორ შეიძლება ნაციონალებთან დაჯდეს ადამიანი, რომელიც სამშობლოს სიყვარულზე ლაპარაკობს? არ შეიძლება, მაგრამ რადგან ეს მოხდა და ყველანი ერთად არიან, ყველამ ერთად, თავისი სურვილით, თავი სრულ იზოლაციაში მოიქცია.

ოპოზიცია ქვეყანაში ძლიერი უნდა იყოს. მას უნდა ჰქონდეს გარკვეული შესაძლებლობა, ხელისუფლებაში იყოს და მართვაში მონაწილეობდეს, მაგრამ მე ნორმალურ, კონსტრუქციულ ოპოზიციაზე ვსაუბრობ და არა იმ დესტრუქციულზე, რომელიც ჩვენ გვყავს.

დღეს ოპოზიცია იმდენად დესტრუქციულია, პროპორციული არჩევნების ჩატარების შემთხვევაში ქვეყნის მდგომარეობა გაუარესდება. საქართველოსთვის ეს კატასტროფა იქნება.

დღეს პროპორციული სისტემა იქნება ქვეყნის დაღუპვა.

„პოლიცია გია ვოლსკის დაკითხვას აპირებს“

ზვიად კუპრავას დაზარალებულის სტატუსი მიანიჭეს

გუშინ, 3 მარტს, პოლიციის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოში „სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის“ ხელმძღვანელ ზვიად კუპრავას დაზარალებულის სტატუსი მიანიჭეს.

როგორც სამმართველოდან გამოსვლის შემდეგ ზვიად კუპრავამ განაცხადა, აქამდე გამოძიება მხოლოდ ძალადობის მუხლით მიმდინარეობდა, ახლა კი საქმე გადაკვალიფიცირდა და ძარცვა-ძალადობის მუხლით გაგრძელდა.

რაც შეეხება პირველ ვიცესპიკერ გია ვოლსკის, ზვიად კუპრავას განცხადებით, მან გამოკითხვის ოქმში ოფიციალურად მიუთითა, რომ ვოლსკი ფლობს გარკვეულ ინფორმაციას მასზე თავდასხმასთან დაკავშირებით.

– დაზარალებულის სტატუსი მომანიჭეს, დაზარალებულად მცნეს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მეორე ნაწილით, საქმე დამძიმდა, რადგან 126-ე ძალადობის მუხლი გადააკვალიფიცირეს 178-ე ძარცვა-ძალადობის მუხლით. ეს ყველაფერი არის ფარატინა ქაღალდი, თუ არ დააკავებენ იმ ადამიანებს, ვინც მონაწილეობა მიიღო ჩემზე თავდასხმაში.

რაც შეეხება გია ვოლსკის, გამოკითხვის მუხლში მივუთითე, რომ ის ფლობს გარკვეულ ინფორმაციას ჩემზე თავდასხმასთან დაკავშირებით, რაზეც პოლიციელები და გამომძიებელი დამპირდა, რომ ყველა ის პირი, ვისზეც მე ვიტყვი, რომ შეიძლება ფლობდეს ინფორმაციას, გამოიკითხება.

ვნახე, რომ მათ აქვთ ვოლსკის გამოკითხვის მზაობა. ახლა ხელისუფლებამ უნდა მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება ე.წ. დამოუკიდებელ პროკურატურას მისცემს თუ არა გია ვოლსკის დაკითხვის შესაძლებლობას, – განაცხადა ზვიად კუპრავამ.

შეგახსენებთ, რომ 27 თებერვალს, დაახლოებით 20:00 საათზე, ზვიად კუპრავას ორი მამაკაცი თავს დაესხა, სახეში სითხე შეასხეს, რის შემდეგ დაზიანებები სახისა და თავის არეში ე.წ. კასტეტით მიაყენეს.

ბორჯომის ყოფილი მერი ლევან ლიპარტია ბრალს არ აღიარებს

ქრთამის აღების ბრალდებით დაკავებული ბორჯომის ყოფილი მერი ლევან ლიპარტია ბრალს არ აღიარებს.

მას ადვოკატი გაგი მოსიაშვილი უკვე შეხვდა. საქმის მასალები უფლებადამცველს 2 მარტს გადაეცა და, მისი თქმით, ისინი სამართლებრივ ბრძოლას აპირებენ.

– ლევან ლიპარტიასთან მქონდა აუდიენცია, მასალები გუშინ გადმოგვეცა და გავეცანით წარდგენილ ბრალდებას. ლიპარტია ბრალს არ აღიარებს. საქმეში არის საინტერესო დეტალები, რომელზეც დაცვის მხარე აპელირებას მოახდენს, – განაცხადა ადვოკატმა.

საქმის მასალებით დგინდება, რომ ბრალდება ლევან ლიპარტიას ედავება 2019 წლის აგვისტოში შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებას, თუმცა ბრალი 2020 წლის თებერვლის ბოლოს, ანუ 7 თვის შემდეგ წარუდგინეს.

– ესაა მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც დაისვა და ჯერ საგამოძიებო ორგანოს მხრიდან ამ კითხვაზე პასუხი გაცემული არაა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ კონკრეტული პირი ლევან ლიპარტიას მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში ამხელს. გარდა ამ ერთი დაინტერესებული პირისა, სხვა მტკიცებულება არაა.

მიუხედავად იმისა, რომ ბრალის ფორმულირებაში ედავებიან ქრთამის აღების ფაქტს, საქმეში მატერიალური სახით თანხა არ ფიგურირებს, რაც ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. შეიტანა ბრალდებულმა ეს ფული ბანკში, ან ბანკიდან ამოიღო, ეს ფაქტი ჯერ ბოლომდე გამოკვლეული არ არის.

ადვოკატ გაგი მოსიაშვილის თქმით, ლევან ლიპარტიას ბრალი ბანკიდან ფულის ამოღებაზე, ანუ ბანკში ფულის ჩადებაზე, ბანკიდან ამოღებულ ფულზე,

ერდოღანი: „თურქეთი აღარ მოუვლის მილიონობით სირიელ ლტოლვილს“

– რასაც არ უნდა ფიქრობდნენ ევროპელები, თურქეთი აღარ აპირებს მოუაროს მილიონობით სირიელ ლტოლვილს კიდევ 9 წლის მანძილზე.

ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა ბულგარეთის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

– ევროპელები ფიქრობენ, რომ თურქეთი კვლავ განაგრძობს ლტოლვილების შენახვას კიდევ 9 წელი. ეს აღარ მოხდება. როცა საქმე სირიელ ლტოლვილებს ეხება, თურქეთმა თავისი პასუხისმგებლობა აიღო, მაგრამ ევროკავშირმა 18 მარტს მიღებული დეკლარაციის პირობები არ შეასრულა და აგრძელებს ორმაგი სტანდარტებით მოქმედებას, – განაცხადა ერდოღანმა.

მისივე თქმით, ანკარამ ლტოლვილებისთვის 40 მილიარდ დოლარზე მეტი დახარჯა.

– ჩვენ ვითხოვთ, რომ ევროკავშირმა სამართლიანად გადაინაწილოს ეს ტვირთი. მათი შეპირებული 1 მილიარდი ევრო აღარაფერში გვჭირდება, – განაცხადა ერდოღანმა.

თურქეთმა მიგრანტებისთვის საზღვრების გახსნის გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც სირიის იდლიბის პროვინციაში ასადის ჯარებმა და მისმა მოკავშირეებმა 33 თურქი სამხედრო მოკლეს. ანკარა რამდენიმე თვის მანძილზე საუბრობდა, რომ იდლიბიდან დამატებით დევნილთა ნაკადს ვეღარ გაუმკლავდებოდა და საზღვრებს ევროპისკენ გახსნიდა.

ამ დროისთვის თურქეთში 3.7 მილიონი სირიელი ლტოლვილი იმყოფება.

ნეთანიაჰუს პარტიამ ისრაელის არჩევნები მოიგო

– ეს იყო დიდი გამარჯვება მემარჯვენე ბანაკისთვის და, უპირველეს ყოვლისა, ჩვენთვის, პარტია ლიკუდისთვის, – ამის შესახებ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ ეგზიტპოლების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ განაცხადა.

მისივე თქმით, ის უახლოეს მომავალში „ძლიერი ეროვნული მთავრობის“ ჩამოყალიბებას შეძლებს.

– თავიდან უნდა ავიცილოთ ხელახალი არჩევნები. ახლა განხეთქილების აღმოფხვრის და შეთანხმების დროა. ხვალვე შევხვდებით მემარჯვენე ლიდერებს და ჩამოვაყალიბებთ სტაბილურ და ძლიერ მთავრობას, ეროვნულ მთავრობას ისრაელისთვის, – აღნიშნა ნეთანიაჰუმ.

მისივე თქმით, პარტია ლიკუდმა არჩევნებში უდიდესი გამარჯვება მოიპოვა და დაამარცხა ოპონენტები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ნეთანიაჰუს დრო დამთავრდა.

– ჩვენ დიდ ძალებთან მოგვიხდა დაპირისპირება, თუმცა ერთად შევძელით და ლიმონისგან ლიმონათი გავაკეთეთ, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

2 მარტს ისრაელში ბოლო 11 თვის განმავლობაში მესამე არჩევნები ჩატარდა. ეგზიტპოლების შედეგების მიხედვით, მემარჯვენე ბლოკმა, რომელსაც ბენიამინ ნეთანიაჰუ ხელმძღვანელობს, 120 ადგილიან პარლამენტში 59 მანდატი მოიპოვა. უმრავლესობისთვის კი, სულ მცირე, 61 მანდატია საჭირო.

ირანის პრეზიდენტმა პუტინი ირანში მიიწვია

ირანის პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ რუსეთის პრეზიდენტს, ვლადიმერ პუტინს შესთავაზა, ასტანის ფორმატის სამიტი სირიის საკითხთან დაკავშირებით ირანში გაიმართოს.

ამის შესახებ ირანის ელჩმა რუსეთის ფედერაციაში, კაზემ ჯალალიმ განაცხადა.

– რამდენიმე დღის წინ სატელეფონო საუბარი გაიმართა პრეზიდენტებს, როუჰანისა და პუტინს შორის. სატელეფონო საუბრის ფარგლებში, პრეზიდენტმა როუჰანიმ მიიწვია პრეზიდენტი პუტინი ირანში, რომ შემდეგი სამიტი, ასტანას ფორმატის ფარგლებში, უახლოეს ხანებში ირანში გაიმართოს, – აღნიშნა ელჩმა.

ელჩმა ასევე ხაზი გაესვა რუსეთისა და ირანის თანამშრომლობის განსაკუთრებულ როლს ტერორიზმთან წინააღმდეგ ბრძოლაში.

– არაერთი კოალიცია შეიქმნა ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ერთადერთი კოალიცია, რომელიც წარმატებული იყო და რეალურად ებრძოდა ტერორიზმს, იყო ირანისა და რუსეთის კოალიცია, – განაცხადა ჯალალიმ.

ბელორუსში ინგლისელი სამხედროები ჩავიდნენ

ბელორუსში ინგლისის საზღვაო ქვეითი ჯარის წარმომადგენლები ჩავიდნენ. ისინი ბელორუს კოლეგებთან ერთად ერთიან სამხედრო სწავლებაში მიიღებენ მონაწილეობას.

სწავლება ვიტებსკის ოლქში ჩატარდება.

სწავლებას ბელორუსის პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალი ალექსანდრე ლუკაშენკო დაესწრება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

პრინც ჰარისა და მეგან მარკლის შვილი მოტაცების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა

პრინცესა დიანას ყოფილმა პირადმა მცველმა პრინც ჰარისა და მისი მეუღლის მეგან მარკლის შვილის არჩი ჰარისონს გატაცების საფრთხის თაობაზე განაცხადა.

კენ უარფემ, ლონდონის პოლიციის ყოფილმა თანამშრომელმა, რომელიც პრინცესა დიანას დაცვაზე იყო პასუხისმგებელი, ბრიტანულ დილის ტელეგადაცემას მისცა ინტერვიუ. ის თვლის, რომ არჩის მოტაცების სერიოზული საფრთხე არსებობს იმ ხმაურის ფონზე, რომელიც მისი მშობლების მიერ სამეფო პრივილეგიებზე უარის თქმამ გამოიწვია.

უარფეს თქმით, დედოფალ ელისაბედ II-ს და პრინც ჰარის მამას, პრინც ჩარლზს მართებთ ჰარის და მეგანის დაცვის დაფინანსებაზე დაფიქრება. მისი თქმით, ეს უპრეცედენტო ნაბიჯი არ იქნება, ვინაიდან დედოფალი პრინც ენდრიუს ქალიშვილების პრინცესების ბეატრისის და ევგენიას დაცვას აფინანსებს.

ყოფილმა მცველმა ასევე დაამატა, რომ ჰარის და მეგანის უსაფრთხოება არ შეიძლება, რომ კერძო ფირმებს მიანდონ. მან პრინცესა დიანას დაღუპვა სწორედ იმ ფაქტს დაუკავშირა, რომ მას პოლიცია აღარ იცავდა.

– ჩვენ გვახსოვს, რა შეემთხვა დიანას 1997 წელს იმის გამო, რომ მას საკმარისი დაცვა არ გამოუყვეს, – აღნიშნა უარფემ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ფონდი „იავნანა“ 16 წლისაა

პაატა ბურჭულაძის მიერ დაარსებული საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“ 16 წლისაა. ამ წლების განმავლობაში ფონდმა არაერთ მრავალშვილიან ოჯახს აჩუქა ბინა და ნიჭიერი სტუდენტების

პაატა ბურჭულაძე:

– სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს!

გილოცავთ ფონდ „იავნანას“ 16 წლისთავს და ყველა დედას ვულოცავ დედის დღეს.

ჩვენ ყველამ შევძელით, რომ 1000-ზე მეტი ბავშვი დაგვებრუნებინა თავის დედასთან და 7000 ბავშვს გავუწიეთ დახმარება. რა სულით მდაბალი უნდა იყოს ადამიანი, რომ ამას ხელი შეუშალოს. მაგრამ ერთი რამე მახარებს, რომ ვინც ამ მავნებლურ საქმეში მონაწილეობდა, უკვე რეკავს და ბოდიშს იხდის და ეს მაძლევს იმის იმედს, რომ ოქტომბრიდან ჩვენ ყველანი ერთად კიდევ ბევრი სიკეთის გაკეთებას შევძლებთ.

თბილისის თეატრებმა მუშაობა შეაჩერეს

თბილისის თეატრებმა კორონავირუსის ინფექციის შესაძლო გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებით მუშაობა შეაჩერეს.

მათ ეს გადაწყვეტილება უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე მიღებული ახალი რეკომენდაციების საფუძველზე მიიღეს.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, რუსთაველის თეატრში, ახმეტელის თეატრში, გრიბოედოვის თეატრში, თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრში, თბილისის თოჯინების თეატრში, მარჯანიშვილის თეატრში 3 მარტიდან 16 მარტის ჩათვლით დაგეგმილი სპექტაკლები გადადებულია. შეძენილი ბილეთები გადადებულ სპექტაკლებზეც ძალაში დარჩება, თანხის უკან დაბრუნების მსურველებს კი თეატრების სალაროებისთვის მოუწევთ მიმართვა.

თეატრებში სადეზინფექციო სამუშაოები მიმდინარეობს. 17 მარტიდან თბილისის თეატრები მაყურებელს სიახლეებით დაუბრუნდებიან.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● მაქვს „ერექტორები“. ის აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს, არ შეიგრძნობა და უტყუარია კონტაქტების დროს თვით სქესობრივად უძლურებშიც. მის შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასებში. ტელ: 2-99-95-33; 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

მილანი დიდი ცვლილებების მოლოდინშია

უკვე ვწერდით, რომ მილანში დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. ერთი კვირის წინ მიდიოდა საუბარი მილანურ კლუბში მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე რალფ რანგნიკის დანიშვნის თაობაზე, რამაც კიდევ უფრო სერიოზული სახე მიიღო. იტალიური პრესის ინფორმაციით, ზვონიმირ ბობანი მილანის დირექტორთა საბჭოს უახლოეს დღეებში დატოვებს.

ხორვატმა აღნიშნა, რომ „როსონერის“ მფლობელი კომპანია „ელიოტ მენეჯმენტი“, რომლის ინტერესებსაც გუნდში აღმასრულებელი დირექტორი, ივან გაზიდისი ატარებს, ზურგს უკან მოქმედებს და ახალ მწვრთნელთან დაკავშირებით მისი და პაოლო მალდინის აზრს არ ითვალისწინებს.

ბობანს „შავწითელთა“ რიგებიდან წასვლა უკვე გადაწყვეტილი აქვს, რასაც დიდი ალბათობით, ოდნავ მოგვიანებით დირექტორთა საბჭოდან იმავე მალდინისა და სპორტულ დირექტორ რიკი მასარას წასვლაც დაემატება. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბობანისგან განსხვავებით, მალდინი და მასარა პოსტს ზაფხულში დატოვებენ.

რამდენიმე კვირაა იწერება, რომ მილანში სრულიად ახლებური მმართველობის სისტემის დანერგვა და ერთბაშად 3 თანამდებობაზე რალფ რანგნიკის დანიშვნა სურს. აპენინური გამოცემების თქმით, რანგნიკმა იტალიური ენის სწავლა უკვე დაიწყო.

გერმანელი სპეციალისტი, რომელიც ბოლოს ლაიფციგში მუშაობდა და გუნდი ჩემპიონთა ლიგაზე გაიყვანა, მთავარი მწვრთნელის, სპორტული დირექტორისა და სკაუტის როლს მოირგებს. შესაბამისად, გუნდის მართვაზე პრაქტიკულად ერთპიროვნული გავლენა ექნება.

რანგნიკი ახალგაზრდული აკადემიის მართვაშიც მიიღებს მონაწილეობას.

შეგელიას რეკორდები

ესპანური ბასკონიას კაპიტანი თორნიკე შენგელია ესპანეთის ლიგის 22-ე ტურის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს, რაც მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა. 28 წლის ქართველმა კალათბურთელმა ბადალონას ხუვენტუტთან ჩინებულად ითამაშა და სარგებლიანობის საოცარი კოეფიციენტი (44) დააფიქსირა.

შედეგად, ჩვენებური ტურის რჩეულად კარიერაში მეექვსედ, მიმდინარე სეზონში კი უკვე მეორედ აღიარეს. არც ეს გვიკვირს – მიმდინარე სეზონში ქართველი კალათბურთელები ესპანეთში ისე ირჯებიან, რომ თითქმის ყოველ ტურში საუკეთესობაზე პრეტენზიას აცხადებენ და ხშირად ხვდებიან კიდეც. საუბარი შენგელიასა და გიორგი შერმადინზე გვაქვს.

დავუბრუნდეთ შენგელიას, რომელმაც ბოლო ტურის მატჩში, რომელშიც 2 ოვერტაიმი დაინიშნა, მოედანზე 47:41 წუთი გაატარა. ესპანეთში, მიმდინარე საუკუნეში ეს მე-3 მაჩვენებელია. თორნიკეს მინიმალური დასვენება გამოუვიდა, თუმცა, ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, რომ ფენომენალური შედეგები დაეფიქსირებინა.

ქართველმა მძიმე ფორვარდმა 32 ქულა ჩააგდო და ამით ლიგა ენდეს-ში მისი უწინდელი მიღწევა (29 ქულა ობრადოიროსთან) გააუმჯობესა. თოკომ 14-დან 8 ორქულიანი, 5-დან 3 სამქულიანი და 11-დან 7 საჯარიმო მიითვალა.

ბასკონიელთა კაპიტანმა 13 მოხსნა (4 შეტევაში) მოაგროვა, რაც მისთვის ასევე საუკეთესო მაჩვენებელია. აქამდე შენგელიას საუკეთესო მაჩვენებელი 10 მოხსნა იყო, რომელიც მორაბანკ ანდორასთან შეხვედრაში დააგროვა.

ქართველი ლეგიონერის აქტივში იყო 5 შედეგიანი პასიც, რასაც ბასკონიელთა 12 ქულა მოჰყვა, ასევე 3 ჩაჭრა და 8 გამომუშავებული ფოლი. შედეგად, ქართველი კალათბურთელის სარგებლიანობის კოეფიციენტი 44-მდე დაფიქსირდა.

შენგელიასთვის ესეც გამორჩეული შედეგია, ხოლო ბასკონიისთვის ბოლო 15 წელში საუკეთესო. შენგელიას მანამდელი მიღწევა 2017-18 წლების სეზონით თარიღდებოდა, როდესაც მურსიელთა წინააღმდეგ ეფექტურობის მაჩვენებელი 41 ჰქონდა.

თორნიკე შენგელია:

– ძალიან ამაყი ვარ, რომ ჩემს თანაგუნდელებთან ერთად მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიე. პატივისცემა მინდა გამოვხატო ფუენლაბრადას მიმართ, რომელმაც დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია. კარგია, რომ ხასიათი კიდევ ერთხელ გამოვავლინეთ და გამარჯვება მოვიპოვეთ, რომელმაც ფლეი ოფთან მიგვაახლოვა. კონკრეტულად ჩემს მიღწევებზე ბევრი საუბარი არ მსურს. მთავარია, რომ მოვიგეთ, პერსონალური სტატისტიკა კი მეორეხარისხოვანია. ერთი კი უნდა ვთქვა. მადლობა ბიჭებსა და მწვრთნელებს, მათი გვერდში დგომის გარეშე ასეთ მაჩვენებლებზე გასვლას ნამდვილად ვერ მოვახერხებდი.

როგორც უკვე გითხარით, თორნიკემ მოედანზე 47 წუთი და 41 წამი დაჰყო და მხოლოდ 2:19 წამი დაისვენა. 21-ე საუკუნეში უკეთესი შედეგი მხოლოდ 2 კალათბურთელს ჰქონია. პირველ ადგილზე ფრან ვასკესია, რომელმაც მოედანზე 50:59 წამი გაატარა. ეს, მანრესასა და ბარსელონას ცნობილ მატჩში მოხდა, რომელშიც 4 ოვერტაიმი დაინიშნა. თუმცა, ვასკესმა 7 წუთი და 1 წამი დაისვენა.

შემდეგ მოდის ასევე ბასკონიას (მაშინდელი ტაუ კერამიკა) კალათბურთელი სერხი ვიდალი, რომელმაც ზუსტად 50 წუთს ითამაშა უნიკახასთან შეხვედრაში. 2005 წლის ფლეი ოფის მატჩში გამარჯვებულის გამოსავლენად 3 ოვერტაიმის დანიშვნა გახდა საჭირო.

შენგელიამ ასევე საუკეთესო შედეგი დააფიქსირა სარგებლიანობის კოეფიციენტის მიხედვით. აქამდე, სეზონის ლიდერებში ნიკოლა მიროტიჩი და საქართველოს ნაკრების კიდევ 1 წევრი გიორგი შერმადინი ფიგურირებდნენ. პირველის საუკეთესო მაჩვენებელი 43 გახლდათ, მეორის კი – 42. ახლა, პირველი შედეგი შენგელიას ეკუთვნის, რომლის კოეფიციენტიც 44-ს გაუტოლდა. ეს, საუკეთესო მაჩვენებელია ასკია ბუკეროს შემდეგ, რომლის კოეფიციენტიც 2018-19 წლების სეზონის მატჩში 48-ს გაუტოლდა. ხოლო საუკეთესო ბასკონიელი ბოლო 15 წელში. საინტერესოა, რომ ის ლეგენდარული არგენტინელი ლუის სკოლაა, რომლის სარგებლიანობის კოეფიციენტიც ბილბაო ბასკეტთან მატჩში (2004-05 წლების სეზონი) 48-ს გაუტოლდა.

გასაკვირი არც ის არის, რომ შენგელია ლიგა ენდესას 22-ე ტურის სიმბოლურ ნაკრებში ერთბაშად 2 პოზიციაზე მოხვდა. ქართველი კალათბურთელი საუკეთესო იყო სარგებლიანობის კოეფიციენტის მიხედვით და პირველი გახლდათ მოხსნებშიც.

თოკოს გარდა, რჩეულთა რიგებში აღმოჩნდნენ ალეკსა ავრამოვიჩი (35 ქულა, ესტუდიანტესი), მარსელინიო უერტასი (ტენერიფე, 16 პასი) და კლემენ პერეპელიჩი (ხუვენტუტი, 6 სამქულიანი).

ფეხბურთი

2 მარტი
ფეხბურთი

ინგლისი. ასოციაციის თასი
პორთსმუთი-არსენალი 0:2
ინგლისი. ჩემპიონიგა
მიდლსბრო-ნოტინგემი 2:2
გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა
ჰანოვერი-კილი 3:1
საფრანგეთი. მე-2 ლიგა
პარიზი-ლანსი 0:2
პორტუგალია. პრიმეირა ლიგა
სანტა კლარა-პორტუ 0:2
ბენფიკა-მორეირენშე 1:1
ავსტრია. ბუნდესლიგა
ალტახი-ზალცბურგი 3:2
თურქეთი. სუპერლიგა
ბაშაქშეჰირი-გაზიანთები 3:1
ქაისერი-გიოზთეფე 1:0
დანია. სუპერლიგა
მიდტიულანდი-სონდერიისკე 3:0

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

გოგონა სპორტმა და ბიკინიმ პანიკის შეტევებისგან გაათავისუფლა

ინგლისის ესექსის საგრაფოს მკვიდრმა გოგონამ, სახელად რებეკამ, ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარა ფიტნეს-ბიკინი შიშებისა და პანიკური შეტევების დაძლევაში.

შვიდი წლის განმავლობაში გოგონას რამდენიმე ნათესავი გარდაიცვალა, რის შემდეგაც მას შიშები და პანიკური შეტევები დაეწყო. როდესაც რებეკა ჯერ კიდევ მოზარდი იყო, მამამისს კიბო დაუდგინეს, რამაც ასევე უარყოფითად იმოქმედა მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. გოგონას აგორაფობია განუვითარდა – ღია სივრცის შიში და რომლის გამოც ის სახლიდან გასვლაზე უარს აცხადებდა.

მალე მის საყვარელ ძაღლსაც ონკოლოგიური დაავადება დაუდგინეს. იმისთვის, რომ სტრესს გამკლავებოდა, რებეკამ გადაწყვიტა სპორტით დაკავებულიყო. გოგონას მტკიცებით, ვარჯიშები მძიმე ფიქრებიდან თავის დაღწევაში ეხმარებოდა. იმისთვის, რომ სავარჯიშო დარბაზში სიარული არ მიეტოვებინა, მან საკუთარ თავს მიზნად ფიტნეს-ბიკინის შეჯიბრებაში მონაწილეობა დაუსახა. შედეგად საცურაო კოსტიუმსა და მაღალქუსლიან ფეხსაცმელში გამოწყობილმა რებეკამ ჟიური თავისი ფიგურით მოხიბლა და მოყვარულთა კატეგორიის პირველ სამეულში მოხვდა.

ის მიიჩნევს, რომ სწორედ თავისი დასახული მიზნის და ვარჯიშების წყალობით მოახერხა შედარებით ადვილად გადაეტანა საყვარელი ცხოველის სიკვდილი და პანიკურ შეტევებს გამკლავებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბარსელონამ თვალი ლაუტაროს დაადგა

ბარსელონამ ინტერს ლაუტარო მარტინესის ტრანსფერზე პირველი შეთავაზება გაუკეთა. კატალონიელებს არგენტინელის დამატება ძალიან სურთ, ლაუტაროსაც დიდი სურვილი აქვს ლიონელ მესისთან თამაშის. გარდა ამისა, ლაუტარო 33 წლის ლუის სუარესის მთავარ შემცვლელად განიხილება.

ბარსელონა ინტერს 70 მილიონ ევროსა და 2 ფეხბურთელს სთავაზობს. კატალონიელები მზად არიან, თანხასთან ერთად არტურო ვიდალი და ნელსონ სემედუ დათმონ. კონტრაქტის მიხედვით, ლაუტაროს გამოსასყიდი თანხა 111 მილიონ ევროს შეადგენს.

ბარსელონა არგენტინელისთვის წელიწადში 7-მილიონიან ხელფასს ამზადებს. ლაუტაროს სერია ა-ს მიმდინარე სეზონის 21 მატჩში 11 გოლი აქვს გატანილი.

სამგლოვიარო განცხადებები

„ახალი თაობა“ უსამძიმრებს მარიამ მჭედლიშვილს დედის

ელიზა მჭედლიშვილის

გარდაცვალების გამო.

ნუნუ ტერენტის ასული რეჭია-გელენავა

ისევ დიდი გულისტკივილით მოვიდა შენი დაბადების დღე, მას შემდეგ, რაც ბედისწერამ უღვთო განაჩენი გამოგიტანა და გაგიყვანა შენს მონატრებულ შვილთან – ზაალისთან. დღემდე ხარ შენი ახლობლების მოუშუშებელი ტკივილი და ამოუვსები სიცარიელე, რომელსაც შევსება არ უწერია. უზომოდ გინდოდა სიცოცხლე, ჩვენო ნუნუ, მაგრამ ვერაგი სენი უფრო ძლიერი აღმოჩნდა და წაგვართვა შენი თავი. გილოცავთ ცათა სასუფეველში შენი დაბადების დღეს.

ზაურ და მაკა გელენავები, დაზმირ გელენავა და ახლობლები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ჩანჩქერი აფრიკაში; 2. ლამაზი, მოხდენილი მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 3. კოსოვოს დედაქალაქი; 4. ამერიკული საიუველირო ფირმა; 7. ყველაზე დიდი ტბა ფინეთში; 9. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 12. ესპანელი კინორეჟისორი მამაკაცი; 14. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 15. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანი; 17. გერმანული სპორტული ჟურნალი; 20. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

თარაზულად: 5. მდინარე აშშ-ში; 6. შინამრეწველური წესით დამზადებული აბრეშუმის ქსოვილი; 8. უმცროს მეთაურთა წოდება სამხედრო-საზღვაო ფლოტში; 10. სიყვარულის სილამაზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 11. მხარე ავსტრიაში; 13. ბოსტნეული მცენარე; 16. იოლი, შემოსავლიანი თანამდებობა; 18. ორელექტროდიანი ელექტროვაკუუმური ნათურა; 19. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 21. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 22. ტანსაცმლის, თეთრეულის კარადა; 23. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 2. უმეცარი; 3. ხვაშიადი; 4. იზოლატორი; 5. მზისა; 6. ასკანა; 8. ფიესტა; 11. ზვარაკი; 14. ადრენალინი; 15. დანსინგი; 16. ნობელიუმი; 17. ტაიბეი; 19. ტავერნა; 21. გიენა; 22. წაბლი.

თარაზულად: 1. ცუცხვათი; 5. მექა; 7. სოფელი; 9. ჰემატოლოგია; 10. კაზრეთი; 12. ინფანტე; 13. ანორაკი; 16. ნიკოლაძე; 17. ტილი; 18. სტელა; 20. სინოპეკი; 22. წინდა; 23. გერგეტი; 24. უემბლი; 25. ნოინი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბასტურმა; 2. ჰალვა; 3. ბრიუსელი; 4. ბონუსი; 7. ციცკა; 9. კრუზი; 9. ულტიმატუმი; 14. ხარება; 15. სუარესი; 17. კუმურდო; 20. ნესვი;

თარაზულად: 5. ბარახსი; 6. ვეროკიო; 8. ნოვაცია; 10. ასკანელი; 11. ამქარი; 13. სპირალი; 16. სიჭინავა; 18. ხურმა; 19. გაყრა; 21. უემბლი; 22. ასკურავა; 23. ტანდემი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

4 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7835

ევრო — 3.0858

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5581

100 რუსული რუბლი — 4.1660

ამინდის პროგნოზი 4 მარტისთვის



3 მარტიდან

ვასილ ბარნოვი

ტრფობა წამებული

საქართველოს ისტორია ქართულ ლიტერატურაში

ტომი I

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

დემნა გვასალიამ ბალენსიაგას ახალი კოლექციის ჩვენება მოაწყო

ქართველმა დიზაინერმა დემნა გვასალიამ ბალენსიაგას ახალი კოლექციის ჩვენება მოაწყო, ჩვენების დასასრულს კი განაცხადა:

– მე მოვდივარ ქვეყნიდან, სადაც მართლმადიდებელი ეკლესია დომინანტი იყო. ეკლესიაში ლოცვისთვის ყოველ შაბათს დავდიოდი.

მახსოვს, როგორ ვუყურებდი მღვდლებსა და ბერებს, რომლებსაც ეს გრძელი მანტიები ეცვათ და ვფიქრობდი: „რა ლამაზია“. მათ ევროპაშიც ვხედავ წვერით, შეკრული თმითა და ჩანთებით.

არ ვიცი, ეს ძალიან სექსუალურია ჩემთვის – ჩემი ფეტიშია. რელიგიური დრესკოდი სხეულის დაფარვას გულისხმობს, სხეულით შერცხვენას, სექსი ტაბუდადებულია, მაშინ, როცა სიღრმისეულად თუ შეიხედავ, ზოგიერთი მათგანი ყველაზე გარყვნილი და ბინძური, უკუღმართი ადამიანია.

თორნიკე ყიფიანმა ევროვიზიის სიმღერა და კლიპი წარადგინა

„საქართველოს ვარსკვლავის“ მეორე სეზონის გამარჯვებულმა თორნიკე ყიფიანმა ევროვიზია 2020-სთვის დაწერილი სიმღერა და კლიპი წარადგინა.

„მიმიღე ისეთი, როგორიც ვარ“ – ასე ჰქვია სიმღერას, რომლის მელოდია და ტექსტიც თავად თორნიკეს ეკუთვნის, არანჟირებაზე კი მომღერალმა ალეკო ბერძენიშვილთან ერთად იმუშავა. სიმღერაში ბექვოკალისტები არიან მარიკო ლეჟავა, ალეკო ბერძენიშვილი და მარიამ შენგელია.

ევროვიზიის სიმღერაზე ვიდეოკლიპის რეჟისორი თემო კვირკველიაა. მან შავ-თეთრ ვიდეოში თორნიკე ყიფიანისა და მისი შემოქმედებითი ჯგუფის მუშაობა გააერთიანა.

ვიდეორგოლი ევროვიზიის ოფიციალურ გვერდზე უკვე აიტვირთა. მას ბევრი ნახვა და დადებითი კომენტარი აქვს.

„ევროვიზია 2020“ მაისში ამსტერდამში გაიმართება. ქართველი კონკურსანტი ევროპელი მსმენელის წინაშე მეორე ნახევარფინალში წარდგება. ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე საქართველოს წარმომადგენლის თორნიკე ყიფიანის სასცენო დადგმაზე შვედი რეჟისორი ემილია სინდქვისტი ?იმუშავებს.

ასტროპროგნოზი

4 მარტისთვის

ვერძი – მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. შემოქმედებითი პროფესიის ადამიანები ხელსაყრელ შემოთავაზებას მიიღებთ. **კურო** – საკუთარი ტალანტის წარმოსაჩენად კეთილისმყოფელი დღეა. ფასეულობების გადაფასება მოგიწევთ. **ტყუპები** – ბედი გწყალობთ. ნებისმიერი საქმე ხელგეწიფებათ. ნუ დაიძაბებით. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი აღმავლობა არ დააყოვნებს. მთავარია, არ იზარმაცოთ. **ლომი** – ინტიმურ სფეროში იმედი გიცრუვდებათ. ყოფით პრობლემებს იოლად მოაგვარებთ. **ქალწული** – პარტნიორის შესაძლებლობები სათანადოდ შეაფასეთ. დღეს დაშვებული შეცდომის გამოსწორება იოლი არ იქნება. **სასწორი** – საჯარო მოხელეებს გიმართლებთ. საქმიანი მოლაპარაკებები წარმატებით დაგვირგვინდება. **ღრიანკალი** – კრიტიკული დღეა. სინდისთან კომპრომისზე წასვლა დაუშვებელია. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. გელით კარიერული წინსვლა. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა კოლექტიური საქმიანობისთვის. ზომიერება დაიცავით. **მერწყული** – იფრთხილეთ. იოლად არავის მიენდოთ. მოტყუების ალბათობა საკმაოდ დიდია. **თევზები** – ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. შესაძლოა, დაწყებული პროექტების შეჩერება მოგიხდეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

დილაა. ცოლი და ქმარი ყავას სვამენ. ცოლი ეუბნება:

– საყვარელო, ხომ არ დაგავიწყდა, რომ მალე რვა მარტია?

– რაა, ისეეევ?!

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– არ მესმის, როგორც ახერხებთ ასე ცხოვრებას შენ და შენი ქმარი!

– რას გულისხმობ?

– რას და ცალ-ცალკე ოთახებში გძინავთ!

– მერე რა? თუ მას მოუნდება, ჩუმად დაუსტვენს და...

– და თუ შენ მოგინდება?

– მაშინ მე ხმამაღლა ვეძახი: „საყვარელო, ხომ არ დაგისტვენია?“

●●●

შვილი დედას ურეკავს და ეუბნება:

– დედა, ჩემმა ქმარმა მაწყენინა... შენთან მოვდივარ!

– არა, შვილო! ბოროტება დაუსჯელი არ უნდა დარჩეს! მე მოვდივარ თქვენთან!

●●●

ქალი გინეკოლოგის კაბინეტში შეიხედავს და ეკითხება:

– უკაცრავად, მომიტევეთ, თქვენთან ხომ არ დამრჩენია ტრუსიკი?

– არა, აქ არაფერი ჩანს.

გარკვეული დროის შემდეგ გინეკოლოგი ქალს დერეფანში შეეჩეხა და ეკითხება:

– იპოვეთ თქვენი ტრუსიკი?

– ვიპოვე! კბილის ექიმთან დამრჩენია!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კრიშტიანო რონალდუს დედამ ინსულტი გადაიტანა

კრიშტიანო რონალდუს დედა დოლორეში ლისაბონში ერთ-ერთ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას ინსულტი დაემართა და, რომ არა ექიმების დროული ჩარევა, შესაძლოა, პარალიზებულიც გამხდარიყო.

ამჟამად დოლორეშის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ მას მკურნალობის გაგრძელება დასჭირდება.

კრიშტიანო რონალდუს ჯერჯერობით ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია და, სავარაუდოდ, ამ დღეებში ლისაბონში ჩაფრინდება.

რონალდუს დედა 65 წლის არის, ხოლო მისი მამა 2008 წელს გარდაიცვალა.

სამუელ უმტიტი, შესაძლოა, ბაიერნის ფეხბურთელი გახდეს

ბარსელონის ცენტრალური მცველის სამუელ უმტიტის შეძენით მიუნხენის ბაიერნია დაინტერესებული. ბაიერნი მზად არის, უმტიტის ტრანსფერში 60 მილიონი ევრო გადაიხადოს, მაგრამ ბარსელონა ჯერჯერობით უმტიტის გაყიდვას არ აპირებს.

უმტიტის ტრავმების გამო საკმაოდ ბევრი გაუცდა, მაგრამ ბოლო პერიოდში ხშირად თამაშობს ბარსელონის ძირითად შემადგენლობაში, ამიტომ კატალონიელები მას იოლად არ შეელევიან.

თვითონ უმტიტიმაც განაცხადა, რომ ბარსელონის დატოვება არ სურს.

დანიელ სტარიჯი 6 თვით დისკვალიფიცირებულია

ლივერპულის ყოფილი ფეხბურთელი დანიელ სტარიჯი უსიამოვნო ისტორიაში გაეხვია. სტარიჯი თურქულ გუნდ ტრაბზონსპორში თამაშობდა, სადაც ტოტალიზატორებთან კავშირში ამხილეს და ამის გამო მას ფიფამ 6-თვიანი დისკვალიფიკაცია მისცა.

სტარიჯი ტოტალიზატორებს თავისი გუნდის „შიდა სამზარეულოზე“ ესაუბრებოდა და ამის მერე ტოტალიზატორებმა იცოდნენ, რა ფსონები გაეკეთებინათ.

ტრაბზონსპორმა სტარიჯთან კონტრაქტი უკვე გაწყვიტა.

იუვენტუსი-ლიონის შეხვედრა, შესაძლოა, მაყურებლის გარეშე ჩატარდეს

კორონავირუსის გამო იტალიაში სერიოზული პრობლემებია და ეს, რა თქმა უნდა, ფეხბურთსაც შეეხო. უკვე გადაიდო რამდენიმე შეხვედრა სერია ა-ში და, ბოლო ინფორმაციის მიხედვით, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის განმეორებითი შეხვედრა იუვენტუსსა და ლიონს შორის, შესაძლოა, მაყურებლის გარეშე ჩატარდეს.

უეფა ყურადღებით ადევნებს თვალყურს იტალიაში განვითარებულ მოვლენებს და გადაწყვეტილებას რამდენიმე დღეში მიიღებს.

რომელუ ლუკაკუმ სოლსკიაერი შეაქო

მანჩესტერ იუნაიტედის ყოფილმა ფორვარდმა რომელუ ლუკაკუმ განაცხადა, რომ ის თვალს ადევნებს მანჩესტერის თამაშებს და ბოლო პერიოდში გუნდს აშკარა პროგრესი აქვს. ლუკაკუს აზრით, ეს ოლე გუნარ სოლსკიაერის დამსახურებაა:

– მსიამოვნებს, როდესაც მანჩესტერ იუნაიტედი იგებს და ბოლო პერიოდში მას აშკარად აქვს პროგრესი, რაც, პირველ რიგში, მწვრთნელის დამსახურებაა. ვფიქრობ, ისინი მომავალში კიდევ უფრო მოუმატებენ და ჩვენ ნამდვილ მანჩესტერ იუნაიტედს ვიხილავთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მნიშვნელოვანი აღმოჩენები ახალშენში

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკა ანთიძე ახალშენში გაკეთებული აღმოჩენების შესახებ ავრცელებს ინფორმაციას:

– საოცარი აღმოჩენებია ქვემო ახალშენში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში.

5 თვეა, არქეოლოგიური გათხრები არ გაჩერებულა არქეოლოგ გოდერძი ნარიმანიშვილის ხელმძღვანელობით.

არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალის პერიოდი იწყება მტკვარ-არაქსის ძვ. წ. IV ათასწლეულის II ნახევარი – III ათასწლეულის პერიოდიდან გვიან შუა საუკუნემდე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საფორთეფიკაციო ნაგებობა განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება და მშრალი წყობით არის ნაგები, რაც ძალზე დიდი იშვიათობაა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 2. წინასწარმეტყველი რომსა და საბერძნეთში; 3. პირი, რომელიც არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 4. პირადი, წვრილმანი ინტერესებით მცხოვრები ადამიანი; 5. საკრედიტო დაწესებულება; 6. რამის არასრულფასოვანი შემცველი; 8. პატარა არია ოპერაში; 11. გერმანული საგმირო ეპოსი; 14. საკუთარი სახელების შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 15. ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 16. მუსიკალური ბგერის ამაღლება ან დადაბლება; 17. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. პატარა სასაუზმე იტალიაში; 21. გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 22. ქართული ტელეკომპანია.

თარაზულად: 1. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ბელორუსიის ფეხბურთელთა გუნდი; 7. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური; 9. ქართველი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 10. ქალაქი სამეგრელოში; 12. სიმჟავეების ჭარბი შემცველობა სისხლსა და ორგანიზმის ქსოვილებში; 13. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული ბრიტანული საშობაო კერძი; 16. ოპერა „აიდას“ პერსონაჟი; 17. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 18. ბუდისტი მღვდელი ჩინეთსა და იაპონიაში; 20. პატარა ქირურგიული დანა; 22. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 23. დოკუმენტების სარეგისტრაციო დავთარი; 24. რაიონული ცენტრი ლეჩხუმში; 25. ბრიტანული არაყი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა